საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი. 2016 წ. №177 (8069), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვინც ბეჭებზე დასადებია, ბეჭებზე აღმოჩნდება

ზაზა პაპუაშვილი:

დღეს პოლიტიკაში ბევრმა მოყელყელავემ სარბიელი უნდა დატოვოს!

3

თუ ქეციან და კანალიზაციის ვირთხა მინისტრებს საქმის „გასნა“ უნდოდათ, სიმართლეს არად დაგიდევდნენ

6

ორიოდ სიტყვა „სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებაზე“

როდის ექნებათ თაღლითებს ჩვენი გაცურების ნაკლები შანსი?

განათლების მინისტრის განცხადებით, ბათუმში თურქული სკოლის უნებართვოდ აშენების შესახებ არ იცოდა

7

კერამიკა– სამეურნეო ხელობიდან კოსმოსამდე

4

XXI საუკუნის მასალა

გიორგი სამანიშვილი:

რატომ ვერ ამბობს მთავრობა უარს ყურძნის სუბსიდირებაზე?

8

ანონსი

ყველამ წავიკითხოთ, ყველამ ვნახოთ!

ჩვენ ყველანი ვჭირდებით მომავლის საქართველოს!

ყოველ პარასკევს, (ამჯერად შაბათს) „საქართველოს რესპუბლიკაში“,

და ყოველ ორშაბათს, 20 საათზე,

ტელევიზია „ქართული TV“-ის პირდაპირი ეთერით

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი რუბრიკით: „ქართული, მხოლოდ ქართული — ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს... ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს... ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!“

ჩვენ თქვენთან ერთად და თქვენი მონაწილეობით, ვსაუბრობთ მომავლის საქართველოზე..

რეალობა მწარეა:

სასოწარკვეთილი ხალხი, უცხო ძალთა მსახური პარტიები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორი. არაქართული საინფორმაციო სივრცე. იგნორირებული ქვეყნის პოტენციალი და ოქროს ფონდი.

ჩვენ ამ დასკვნას თქვენთან შეხვედრების ანალიზით ვაკეთებთ!

გეთანხმებით, მდგომარეობა უმძიმესია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცუდად ვცხოვრობთ, არამედ და სწორედ იმიტომ, რომ არ ვიცით ან არ გვინდა ვიცოდეთ, რატომ, ვისი პროგრამებითა და ძალისხმევით ვცხოვრობთ ცუდად. დიაგნოზის დასმის გვეშინია.

ჩვენ გვჭირდება ძალა, ნება, დავსვათ სწორი დიაგნოზი და ხსნის გზაც აქ დაიწყება. ჩვენ ერთად უნდა გავაცნობიეროთ ქვეყნის პოტენციალი და ვეძებოთ ძლიერი ადამიანები... შევქმნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს (როგორც ეს დღეს არის), არამედ ეძებს მას და ჩვენი მხარდაჭერით კიდევ უფრო აძლიერებს.

ჩვენ ასე შევქმნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს, ერთ მუშტად შეკრულ სიკეთეს, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად.

ჩვენ ყველანი ვჭირდებით მომავლის საქართველოს!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი
„ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

* * *

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

დაელოდეთ ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერს.

გია პლატონიშვილი

მესამე და სამართალი

10

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას მიხეილ აბაიშვილი უხელმძღვანელებს

ბიძინა ივანიშვილი:

უნდა ვისწავლოთ ჩვენი ქვეყნის მართვა

ქვეყნის ეფექტურ მართვას სჭირდება კარგი გამოცდილება – ეს განცხადება საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. ივანიშვილი „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ თემაზე მიმდინარე კონფერენციას დაესწრო. მან ჟურნალისტებთან ამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ექსპრემიერი ამბობს, რომ აუცილებელია კადრების აღზრდა სკოლის მერხიდან დაიწყოს.

„მე პირადად ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ პროექტს. ისევე როგორც სკოლის მოსწავლეების პროექტს „გახდი მოქალაქე“. უნდა ვისწავლოთ ჩვენი ქვეყნის მართვა. ორი წელია, ეს პროექტი მიდის და გაგრძელდება, რამეთუ ძალიან ეფექტური გამოდგა. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ეფექტურ მართვას სჭირდება კარგი გამოცდილება, კარგი ცოდნა. ჩვენს უახლეს ისტორიაში ძალიან ცოტა დროა, რაც ვმართავთ ჩვენს ქვეყანას და ვსაჭიროებთ, სკოლის მერხიდან დავიწყოთ კადრების აღზრდა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ეფექტურად მოიმართოს და სწორი მიმართულებით განვითარდეს,“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„მშვიდობის მემორანდუმის“ საჭიროება არ უნდა დამდგარიყო

ბიძინა ივანიშვილის თქმით, პარტიებმა ე.წ. მშვიდობის მემორანდუმს ხელი უნდა მოაწერონ, თუმცა მისივე თქმით, კარგი იქნებოდა, ამის საჭიროება არ დამდგარიყო:

„კარგი იქნება, თუ ხელს მოაწერენ, მაგრამ ამის საჭიროება არ უნდა დამდგარიყო, თვითონ ფაქტი, რომ ასეთ დოკუმენტზე მოთხოვნილება ხდება, არის ცუდი. წინა ხელისუფლების მმართველობის ცუდი დანატოვარია, მათი აგრესიული გამოვლინებებია ძირითადად დაპირისპირება, ერთი პარტია ატარებს აქციას, მიდიან სხვები და ცდილობენ არევას. მახსოვს, როცა პოლიტიკაში მოვედით, პრინციპში საშუალება არ გვქონდა, გავსულიყავით და მოსახლეობას შევხვედროდით, ძალიან აქტიურობდნენ ზონდერები, ხშირად მუშტი-კრივში გადადიოდა,“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ჩემმა მეუღლემ ორი სერიის მერე ვერ უყურა, მე ვუყვებოდი და უცრემლოდ ვერ ვყვებოდი“

განაცხადა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გოგა ხაინდრავას ფილმ „ჰეროკრატიაზე“ საუბრისას.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა ძალიან სპეციალურია, ამ ფილმს ამ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მომავალმა თაობამ შეიძლება გაითვალისწინოს, როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლება, თუ მას სწორედ არ აირჩევს....“ – განაცხადა ივანიშვილმა.

ექსპრემიერმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა მედია და აღნიშნა, რომ მან არ იცის ფილმის რეიტინგი, რადგან თვალს არ ადევნებს.

„თქვენ ვინ ბრძანდებით , აა, „რუსთავი“ ორი? მე არ ვადევნებ რეიტინგებს თვალს , თქვენ გაინტერესებთ იმიტომ, რომ რეიტინგი არ გაქვთ. ხედავთ, რეიტინგი ვის არ აწყობს ?თქვენ ორივე – „ტაბულა“ და „რუსთავი-2“ წარმოადგენთ ნაციონალურ მოძრაობას . თუ მაინც გინდათ ფილმზე ვისაუბრო, პირველი ორი სერიის მერე ჩემმა მეუღლემ ვერ უყურა, ცუდად გახდა, მე უცრემლოდ ვერ ვუყვებოდი,“ – განაცხადა ექსპრემიერმა.

უჩა ნანუაშვილს წყალი შეუდგა...

ბიძინა ივანიშვილმა ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის პოზიცია გააკრიტიკა:

„სახალხო დამცველი სასამართლოს დამთავრებამდე თუ ასეთ აზრებს გამოთქვამს, ძალიან ცუდია, ასწრებს სასამართლოს და მის საქმეებში ერევა. ზოგადად დამოკიდებულება, რომ არ არის დამტკიცებული, მათ რომ ეს ჯიბეში ჩაიდეს, ვერ დაამტკიცა პროკურატურამ, მაგრამ არამიზნობრივად არის გაფლაგული 5 მილიონი ლარი, ეს სერიოზულ კითხვებს იწვევს, თუმცა მე არ ვარ მოსამართლე და არ ვაპირებ დასკვნების გაკეთებას,“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი:

საქართველომ, გამოწვევებთან ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში ხელისუფლების ყველა შტოს ეფექტიანი მონაწილეობის მისაბაძი მაგალითია – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ღია მმართველობის პარტნიორობის მე-ნ წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეებს.

„ჩვენ ერთად მივაღწიეთ პარტნიორობის წარმატებას“, – მიმართა პრემიერმა დელეგატებს და საქართველოში ღია მმართველობის პარტნიორობის ეგიდით განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა.

„ჩვენ წამოვიწყეთ ინფორმაციის თავისუფლების რეფორმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ღია მონაცემებზე და ეროვნული არქივების ხელმისაწვდომობაზე“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობამ ასევე საფუძვლიანი ცვლილებები შეიტანა საჯარო მომსახურებაში.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, საქართველოს წარმატებას განაპირობებს ყველა დონეზე სახელისუფლო ძალისხმევის ერთობლივი შემოქმედებითი პროცესი და ამ ძალისხმევის ინკლუზიური ხასიათი.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ხელისუფლება მოხარულია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის საზოგადოება საქართველოს ძალისხმევას აღიარებს.

„გასულ წელს, მექსიკაში, ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტზე, საქართველომ, ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობად თავდაუზოგავი შრომისთვის, ღია მმართველობის პარტნიორობის გამარჯვებულის ჯილდო მიიღო. გარდა ამისა, საქართველო, საფრანგეთთან ერთად, არჩეულ იქნა პარტნიორობის თანათავმჯდომარედ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას გიხდით ასეთი დიდი ნდობისთვის, ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში“, – მიმართა პრემიერმა ღონისძიების მონაწილეებს.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ყველას აქვს წარმატების ისტორიები, თუმცა მათზე გაჩერება დაუშვებელია; საჭიროა ახალი გამოწვევების დადგენა და მომდევნო 5 წელზე დაფიქრება.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, სამომავლო წინსვლისთვის, აუცილებელია რამდენიმე საკითხის გათვალისწინება – როგორ დაიგეგმოს მომდევნო 5 წელი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები; კონკრეტულად რა სახის ზომების მიღებისთვის არიან ქვეყნები მზად, რათა გააფართოონ თვალთახედვა და ღია მონაცემებისა და ღია ბიუჯეტის სფეროებიდან, სექტორებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და მომსახურების მიწოდებაზე გადაინაცვლონ; ასევე, როგორ შეიკრას უკუკავშირის წრე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ღია მმართველობის პარტნიორობის მიღწევებსა და სტრატეგიულ გეგმებს კარგად აცნობიერებენ ისინი, ვინც იცნობს პარტნიორობის საქმიანობას, მაგრამ ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის დღესაც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი.

მისივე თქმით, ამ გამოწვევისთვის საქართველო, როგორც პარტნიორობის თანათავმჯდომარე, მზად არის.

გიორგი კვირიკაშვილმა ღია მმართველობის პარტნიორობის მომდევნო სამიტის შესახებ ისაუბრა, რომელიც დეკემბერში პარიზში გაიმართება და რომლის ფარგლებშიც მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები მთელი მსოფლიოდან მხარს დაუჭერენ გრძელვადიან ცვლილებებს.

„ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ღია მმართველობის პარტნიორობის ეს სამიტი ერთმანეთისგან ცოდნის მიღებისა და ახალი დადებითი ცვლილებების გატარების შესაძლებლობად ვაქციოთ, რათა ხელი შევუწყოთ ისეთ კონკრეტულ პოლიტიკურ ზომებს, რომლებიც წვლილს შეიტანს ღია მმართველობის დღის წესრიგის განხორციელებასა და ჩვენი საერთო ამბიციების მასშტაბის გაფართოებაში. ღია მმართველობის პარტნიორობამ გადამწყვეტ ეტაპს მიაღწია. მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთად კიდევ მეტ წინსვლას შევძლებთ“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის, საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის და სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის ჯეიკობ ზუმას თანათავმჯდომარეობით გაიმართა.

გიორგი მარგველაშვილი სომხეთის პრეზიდენტს დამოუკიდებლობის აღდგენის იუბილეს ულოცავს

„თქვენო აღმატებულებავ, მინდა, გულითადად მოგილოცოთ დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილე. დღევანდელ ღირსშესანიშნავ დღეს ქართველი ხალხი და პირადად მე გამოვხატავთ განსაკუთრებულ პატივისცემას სომეხი ხალხის მიმართ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ საქართველოსა და სომხეთის მეგობრობა ღრმა ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს ეფუძნება. მჯერა, რომ საერთო ძალისხმევით, შევძლებთ ჩვენი ქვეყნების წინაშე არსებული სირთულეების დაძლევას და მომავალში ჩვენი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა და გისურვოთ თქვენ და მოძმე სომეხ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა“, – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ წერილში.

ბარაქ ობამამ ისრაელს ოკუპანტი უწოდა

ამერიკის პრეზიდენტის ბარაქ ობამას განცხადებით, პალესტინელებმა ისრაელი უნდა აღიარონ, ისრაელმა კი ოკუპაციაზე უარი უნდა თქვას.

ამის შესახებ ამერიკის ლიდერმა გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის გახსნაზე განაცხადა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს შეეხო.

„ისრაელებისთვის და პალესტინელებისთვის უკეთესი იქნება, თუ პალესტინელები ისრაელის კანონიერებას აღიარებენ, მაგრამ ისრაელიც აღიარებს, რომ არ შეიძლება პალესტინელების მიწების ოკუპაცია“, – განაცხადა ობამამ.

ბარაქ ობამამ მწუხარება გამოთქვა, რომ თუმცა მსოფლიო გაცილებით უსაფრთხო ადგილად იქცა, სახელმწიფოებს ლტოლვილების კრიზისთან, ტერორიზმთან და ახლო აღმოსავლეთში წესრიგის ცვლილებასთან ბრძოლა უწევთ.

მემორანდუმი არჩევნების მონაწილე სუბიექტებისთვის

„ძართულმა ოცნებამ“ გამოაქვეყნა მემორანდუმი 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საარჩევნო აგიტაციისას კონტრაქციების თაობაზე. მედიანიუსი მას უცვლელად გთავაზობთ.

„ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე საარჩევნო სუბიექტები ვაცნობიერებთ რა, რომ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება არის საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციის აუცილებელი პირობა, ვაცნობიერებთ რა, რომ საარჩევნო სუბიექტის მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ კონტრაქციის მოწყობა ქმნის ძალადობის პროვოცირების განსაკუთრებულ საფრთხეს, ვთანხმდებით, რომ უზრუნველვყოფთ ჩვენი აქტივისტების დისტანცირებას სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ ან მის მხარდასაჭერად გამართული აქციისგან, შეხვედრისგან ან სხვა მსგავსი სახის ღონისძიებისგან და მივიღებთ ყველა ზომას, რათა არ დავუშვათ ჩვენი აქტივისტების მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ გამართული ღონისძიების ხელშეშლა.

წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება მთელ საარჩევნო პერიოდზე, არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე“, – ნათქვამია მემორანდუმში, რომელსაც ხელს საარჩევნო სუბიექტები მოაწერენ.

ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებულ მემორანდუმს ხელს არ მოაწერს

ნაციონალური მოძრაობის წევრ თინათინ ბოკუჩავას **განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ ძალადობრივი გარემო შექმნა, და ახლა მემორანდუმის სახით პარტიებს ფარატინა ქაღალდს სთავაზობს.**

ამის შესახებ ბოკუჩავამ, „ქართული ოცნების“ მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის განკუთვნილი წინასაარჩევნო მემორანდუმის ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„ქართული ოცნება“ გვთავაზობს ფარატინა ქაღალდს, რომ რეალურად შეფუთვა წარმოგვიდგინოს იმ ძალადობრივი გარემოსი, რომელიც თავად მათ შექმნეს წინასაარჩევნოდ. ასეთი ტიპის მემომარანდუმზე შეერთების აზრს ჩვენ ვერ ვხედავთ“, – განაცხადა ბოკუჩავამ.

ვინც ბეჭებზე დასადებია, ბეჭებზე აღმოჩნდება

დღეს პოლიტიკაში ბევრმა მოყელყელავემ სარბიელი უნდა დატოვოს!

„ბევრმა იმ ადამიანმა, რომელიც ახლა პოლიტიკაში ყელყელაობს, უნდა დატოვოს პოლიტიკური სარბიელი“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი ზაზა პაპუაშვილი, რომლის განცხადებით, ბრძოლა არ დამთავრებულა და ამ თვალსაზრისით ეს ურთულესი არჩევნებია.

for.ge ზაზა პაპუაშვილს ესაუბრა.

— ხელისუფლება ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს პროცესების რადიკალიზაციას და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მოძრაობა — „საქართველოს ერთგულების სახელით“. ბატონო ზაზა, ვინ არიან ეს ადამიანები და რა არის მათი მიზანი?

— წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან და რას აკეთებენ, მაგრამ ძალიან კარგია, ასეთი რაღაცები რომ ხდება, რადგან ეს უფრო მეტ მოტივაციას გაუჩენს მოსახლეობას, რომ მოვიდნენ არჩევნებზე და თვალნათლივ დაინახონ ვის უნდა დაუჭირონ მხარი. ამ ეტაპზე „ქართული ოცნება“ უალტერნატივო ძალაა. ეს არის ურთულესი არჩევნები, ყოფნა-არყოფნის საკითხია.

— ანუ ამბობთ, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა?

— ბრძოლა არ დამთავრებულა. იმიტომაც შემოვტრიალდი ამ ბრძოლაში, ჩვენ ისევ უნდა გავერთიანდეთ. უამრავ ადამიანთან ერთად, მე ვარ იმ ბრძოლების თანამონაწილე, რომელმაც ის ჯოჯოხეთური მმართველობა დაამთავრა ამ ქვეყანაში. ამიტომ არ ვაპირებ ჩემი ტრიბუნის ასე იოლად დამთავრებას, ამ ტრიბუნას გამოვიყენებ სწორედ სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის. ამიტომ, არც ერთ ჩვენგანს არ გვაქვს უფლება, ექსპერიმენტები ვატაროთ.

— თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ ამ ბრძოლით დაბრუნდება ხელისუფლებაში...

— მტერი დაბრუნდეს ისე, როგორც ისინი დაბრუნდებიან. გაცხელებულგონებიანი ადამიანები, ვისაც სურთ, რომ ქვეყანა ისევ უფსკრულისკენ წაიყვანონ, პოლიტიკურ სივრცეში არ უნდა შემოვუშვათ. ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, რომ ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი. უამრავი ადამიანია, რომლებიც პოლიტიკაში სათავისოდ ყელყელაობენ და მათ არ უნდა მივცეთ უფლება, რომ ქვეყნის სადავეები ჩაიბარონ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია ასეთი რაღაცები თუ ხდება, ეს უფრო გაგვაძლიერებს და საბოლოოდ დაუსვამს წერტილს ასეთი შემთხვევითი ადამიანების გამოჩენას, თანაც არა მარტო პოლიტიკაში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ იყო საპრეზიდენტო და მერის არჩევნები — ვერც ერთი ხინჯი ვერ დაინახეს, მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ეს იყო სამაგალითო არჩევნები როგორც კანონის, ასევე ადამიანის უფლებების დაცვით კუთხით. დიახ, ასე ვაპირებთ ახლაც. არანაირი არეულობა, დაპირისპირება, კბენა და ღრენა ჩვენს ამოცანებში არ შედის. ასე მშვიდად დავამთავრებთ ამ არჩევნებს და ვინც ბეჭებზე დასადებია, ბეჭებზე აღმოჩნდება. ვფიქრობ, რომ აჩქარებულ ტემპთან ერთად, კანონის შესაბამისად მკაცრი უნდა ვიყოთ იმ ადამიანების მიმართ, ვისაც უნდა კონსტიტუციური წყობის არევა ქვეყანაში.

— ვის, რომელ პოლიტიკურ ძალას უნდა კონსტიტუციური წყობის არევა ქვეყანაში და როცა ამბობთ, რომ ბეჭებზე დადებთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ გულისხმობთ?

— მას და მის სატელიტ პარტიებს, ვინც მათი ენით გველაპარაკება, ადამიანები და პოლიტიკური პარტიები, რომელთა საუბარი ნაცმოძრაობის საუბრისგან არ განსხვავდება, სხვაობას ვერ ვხედავთ. ეს არის იგივე ლუსტრაცია, თვითგამოაშკარავება, ვინ არიან ისინი და რა სურთ. ვფიქრობ, რომ მათ ამ არჩევნებით საკადრისი პასუხი უნდა გაეცეთ და ვფიქრობ, რომ გავცემთ საკადრის პასუხს.

ჩვენი დევიზია — საქართველო უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობა, სწრაფი განვითარება და ადამიანების სიდუხჭირიდან გამოყვანა — იმ სიდუხჭირიდან, რომელშიც დამნაშავე ნაციონალ-ბოლშევიკურმა მოძრაობამ და მისმა სატელიტმა პარტიებმა ჩააგდეს. ეს საქმე გასაკეთებელია და ეს ბრძოლა კვლავ მოსაგებია.

— ამ ბრძოლაში 2012 წელს მთელი ოპოზიციური სპექტრი იყავით ერთად, დღეს ამ ბრძოლაში „ქართული ოცნება“ მარტოა. კოალიციის ყველა წევრი დღეს ოპოზიციაში გყავთ, შესაბამისად, შეძლებთ ბრძოლის ბოლომდე მიყვანას? ანალიტიკოსები ამბობენ, ეს არის რთული ბრძოლა, რადგან 2012 წელს ნაცმოძრაობა შეგუებული იყო მარცხს, მაგრამ დღეს ცდილობს არჩევნების გზით პროცესების რადიკალიზაციას...

— შეგეკამათებით, აღნიშნეთ, მარტო ხართ ამ ბრძოლაში და როგორ მოიგებთ ამ ბრძოლასო. მცდარი აზრია, მარტო როგორ ვართ, როდესაც ჩვენ უკან მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმრავლესობა დგას, რომელიც ამ პოლიტიკურ ბრძოლაში გააფორმებს „ქართული ოცნების“ გამარჯვებას?! ჩვენ მარტო არ ვართ.

რაც შეეხება კოალიციას, იმ დროს გარდაუვალი მოცემულობა იყო, აუცილებელი იყო, რომ პოლიტიკური ცხოვრება განახლებულიყო, ამიტომ პოლიტიკურ პარტიებს თავის გამოჩენის და მათი დამოკიდებულების საშუალება მიეცათ.

ამ 4 წლის განმავლობაში მოსახლეობამ შესანიშნავად დაინახა ამ კოალიციაში ვინ როგორ იღვწოდა. 4 წლის განმავლობაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კანონებია მიღებული კოალიციურ რეჟიმში და, რასაკვირველია, ამის გამო ყველას მადლობა ეკუთვნის, მაგრამ კოალიცია დაიშალა, ადრეც ვფიქრობდი, რომ დაიშლებოდა და ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

— კოალიციის ეს წევრები დღეს თქვენთან ოპონირების რეჟიმში არიან...

— ახლა ვართ ოპონირების რეჟიმში. მე მომეწონებოდა, რომ ამ ოპონირების რეჟიმში ყველას გაეწია კონტროლი რას და როგორ საუბრობენ, არ დაევიწყებინათ ის მადლი და სიკეთე, რომელიც მათ და მათ პოლიტიკურ პარტიებს წილად ერგოთ 2012 წლის არჩევნების შემდეგ. არავინ არ უნდა დაივიწყოს გუშინდელი დღე, არც ის დაივიწყონ, ამ 4 წელიწადში როგორი საბოტაჟის და არანორმალურ პირობებში გვიხდებოდა მოღვაწეობა, რომ ქვეყანა არ ჩამოშლილიყო, მშვიდობა ყოფილიყო, ინსტიტუციები გამაგრებულიყო და სახსარი გასჩენოდა ქვეყანას.

ბევრი რამ მიღწეულია, მაგრამ თვითკმაყოფილებას ვერ მივეცემით. ეს ტემპი და ის რეფორმები, რაც დაწყებულია, უნდა გაგრძელდეს. არ შეიძლება ამ რეფორმების შეჩერება, რასაც დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და რომლის გუნდის წევრი ვარ. ვიზიარებ ამ გუნდის ფასეულობებს — ქვეყნის ნომერ პირველი საზრუნავი ხდება ადამიანი, ადამიანი უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა უპირველეს ყოვლისა. ჩვენს ოთხპუნქტიან გეგმაში ეს მიმართულებია ჩამოყალიბებული. როგორც ბნელ ადამიანს ეშინია სინათლის, ასე ეშინიათ ამ ჭიაღუებს დღის სინათლის და კეთილი საქმეების კეთების.

ამიტომ არის ამდენი გინება ბიძინა ივანიშვილის, გიორგი კვირიკაშვილის, პატრიარქის და ნებისმიერი ჩვენგანის მიმართ. იმიტომ, რომ არ უნდათ სინათლესთან, წინსვლასთან, პროგრესთან, განათლებასთან და ქვეყნის სიყვარულთან ვიყოთ დაკავშირებული. აი, ეს შურთ, რითაც ადამიანებს თავი შეაძულეს. ახლა კი, ეს ყველაფერი ჩვენსკენ უნდათ მომართონ. ვერ გამოვა ეს! არ გამოვა ეს!. ეს იქნება შესანიშნავი არჩევნები, თავისი სამართლიანობით, თავისი სიტყვის უფლების, შეკრების უფლებისა და საარჩევნო კოდექსის დაცვით. დიახ, ეს იქნება ერთ-ერთი სამაგალითო არჩევნები და თქვენ ნახავთ, რამდენი პოლიტიკოსი და პარტია გაკოტრდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროფესიონალ და სუფთა ადამიანებს გავუკვალოთ ხელისუფლებაში მოსასვლელად გზა. იმიტომ, რომ ბევრმა იმ ადამიანმა, რომელიც ახლა პოლიტიკაში ყელყელაობს, უნდა დატოვოს პოლიტიკური სარბიელი.

— ვის გულისხმობთ? მაგალითად, ივანიშვილი აქცენტს რესპუბლიკელებზე აკეთებს და თავის მხრივ, დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ თუ ივანიშვილი არ შეწყვეტს უსაფუძვლო ბრალდებას, ისინი ფაქტებს გაასაჯაროებენ...

— მე ვურჩევ ყველას, ამ თავიანთი კლიპში შპალერებს რომ ხევენ და რაღაცისგან გათავისუფლება რომ უნდათ, უწინარესად, ჯერ თვითონ გათავისუფლდნენ ამ ქედმაღლობისგან, ნარცისიზმისგან, ასეთი უდიერი დამოკიდებულებებისგან და მერე მოუწოდონ სხვას გათავისუფლებისკენ. მოვუწოდებ, რომ ამ საარჩევნო მარათონში თავი დავანებოთ უკადრებელი საქციელის კადრებას. ვაუკაცურად და მშვიდად მივცეთ ხალხს საშუალება, მივიდნენ საარჩევნო ურნასთან და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რაც სურს ქვეყნის მოსახლეობას.

თამთა ქარჩავა

სააპელაციო სასამართლოში „კაბელების საქმის“ სააპელაციო სარჩელის განხილვა დაიწყო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე.წ. კაბელების საქმის სააპელაციო სარჩელის განხილვა დაიწყო.

„ვიცით, რომ ეს სასამართლო არის პირდაპირ კონტროლში პოლიტიკური ხელმძღვანელების მხრიდან, მუ-

რუსიძის მხრიდან, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ამოვწურავთ ყველა სამართლებრივ შესაძლებლობას, რომ უდანაშაულო 5 ადამიანი, პატიმრობას ამას არ დავარქმევ, ტყვეობაში აყვანილი 5 უდანაშაულო ადამიანი გამოვიყვანოთ ციხიდან, დავუბრუნოთ საკუთარ ოჯახებს,“ — აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია. თბილისის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფოს კუთვნილი 4 მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვაში ბრალდებულ თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ლორთქიფანიძე პროკურატურაში მისვლას არ აპირებს

26 მაისის აქციის საქმეზე მთავარ პროკურატურაში მისვლას არ აპირებს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე.

ოდესის ოლქის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი უკრაინაში იმყოფება და აცხადებს, რომ ვერ მოახერხებს უწყებაში მითითებულ დროს გამოცხადებას.

ლორთქიფანიძემ სოციალურ ქსელში განცხადებაც გაავრცელა, სადაც წერს, რომ გასაჯაროებულ ვიდეომასალასთან და 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებულ სხვა ვიდეომასალებთან, რომლებიც პროკუ-

რატურაში დაკითხვის დროს უკვე ნანახი აქვს, არავითარი კავშირი არა აქვს.

„მე, როგორც ოდესის ოლქის ნაციონლური პოლიციის მთავარი სამმართველოს მოქმედი ხელმძღვანელი, ხვალ თბილისის დროით 16:00 საათზე მოხსენებით გამოვდივარ უკრაინის პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე და ფიზიკურად ვერ გამოვცხადდები საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ხოლო ჩემი დაბარების თარიღი და დრო ვერანირად ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად.

ვწუხვარ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქმედება ნაკარნახევია ცალკეული პოლიტიკური პარტიის შიშებით და ინტერესებით,“ — ნათქვამია ლორთქიფანიძის განცხადებაში.

კერამიკა — სამეურნეო ხელობიდან კოსმოსამდე

„თქმა მართლისა სამართლისა,
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“
რუსთაველი.

მიღებულია ისტორიული ეპოქების დაყოფა გამოყენებული მასალების მიხედვით, რომლებიც ამა თუ იმ პერიოდში იყო მთავარი: „ქვის ხანა“, „ბრინჯაოს ხანა“. მაგრამ XXI საუკუნე არის უკანასკნელ ათწლეულებში წარმოქმნილი და ინტენსიურად პროგრესირებადი მეცნიერული მიღწევების ხანა, როგორიცაა კომპიუტერული ტექნიკა, რადიოელექტრონიკა, ატომური ენერგეტიკა, რობოტოტექნიკა და მრავალი სხვა. ამიტომ მეცნიერების წინაშე დღის წესრიგში დადგა დიდი და რთული ამოცანები — ახალი კონსტრუქციული მასალების შექმნის აუცილებლობა, რომელთა გამოუყენებლადაც აღნიშნული ტექნიკური სიახლეები ვერ განვითარდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესი მაღალი ტემპერატურების, წნევების, სიჩქარეების და ქიმიურად აგრესიული არეების გამოყენებას ეფუძნება. ასეთ ექსტრემალურ პირობებში მუშაობას შეიძლება ძალიან ცოტა სახეობის მასალებმა გაუძლოს, მათ შორის პირველ ადგილზეა კერამიკა. კერამიკა ესაა ყველასათვის კარგად ცნობილი თიხის წითელი საამშენებლო აგური, ქაშანურისა და ფაიფურის სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ჭურჭელი, საეკლესიო და საერო მხატვრული ნაკეთობები, ტერაკოტისა და მაიოლიკის ნაკეთობები, კერამოგრანიტი და ა.შ.

მაგრამ კერამიკაა აგრეთვე ცეცხლგამძლე მასალები, რომლითაც აგებულია საბრძმედე და მარტენის მეტალურგიული ღუმელები, სარაკეტო ძრავების საქშენები, ელექტროგადამცემი ხაზების იზოლატორები, ბირთვული რეაქტორის სათბობი ღეროები, რადიოკონდენსატორები, ელექტრონიკაში, რადიოტექნიკაში და კვანტურ ოპტიკაში გამოყენებული დეტალები, საჭრელი ინსტრუმენტები, ზესალი და ზეელექტროგამტარი მასალები, სეგნეტო- და პიეზოელექტრული მასალები, ფეროშპინელები, კომპოზიციური მასალები, საავიაციო, სარაკეტო და კოსმოსური დანადგარებში გამოყენებული დეტალები, ორთოპედიული და სტომატოლოგიური ნაკეთობები, ჩვენს მიერ შექმნილი მომინანქრების ახალი ტიხრული ტექნიკა და მრავალი სხვა. სწორედ ამიტომ უწოდეს ამერიკელმა მეცნიერებმა კერამიკას „სამზარეულოდან კოსმოსამდე“.

ჭეშმარიტად შეიძლება უკვდავ-უბერელი ვუწოდოთ კერამიკას, მის ასეულობით სახეობას, რომელთა შექმნა დაიწყო კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე (270 საუკუნის წინათ), არა თუ მცირდება, ანდა კარგავს მნიშვნელობას, არამედ პირიქით — სისტემატურად იზრდება და უმჯობესდება, განუწყვეტლივ ფართოვდება კერამიკის გამოყენების სფეროები, იხვეწება მათი საექსპლუატაციო თვისებები, იქმნება ახალ სახეობათა კერამიკა, რომელთა სინთეზი უკავშირდება არატრადიციული ნივთიერებების და დღემდე უცნობი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას და ეს არ არის შემთხვევითი: მეცნიერების, ახალი ტექნიკისა და მრეწველობის ვერც ერთი მნიშვნელოვანი დარგი გვერდს ვერ აუვლის კერამიკულ მასალებს.

სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს — „ქვევრის სახლი“

იაპონიის 100 ლიდერი ფირმის პრეზიდენტების და სპეციალისტების ერთობლივი დასკვნით XXI საუკუნეში ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მეცნიერული კვლევების მიმართულებებში, როგორიცაა დიდი ინტეგრალური სქემები, ბიოტექნოლოგია, ბოჭკოვანი ოპტიკა და რობოტოტექნიკა, დასახელებულია კერამიკა. ამიტომ „Черльз Риверз Асс. Инк“ სპეციალისტების დასკვნით, რომელთაც განსაზღვრეს ახალი კერამიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში (კვლევა მიმდინარეობდა აშშ სტანდარტების ნაციონალურ ბიუროსთან ერთად) დაადგინეს — ის, ვინც დაიპყრობს ტექნიკური კერამიკის ბაზარს, საერთოდ დაიპყრობს მსოფლიო ბაზარს!

მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულების დარგებში გამოსაყენებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფუნქციონურ და კომპოზიციურ მასალებს, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის ლითონებისთვის დამახასიათებელი პლასტიკურობა და მაღალი მექანიკური თვისებები, ორგანული პოლიმერების სიმსუბუქე და ელექტროსაიზოლაციო თვისებები, კერამიკის ცეცხლგამძლეობა და ქიმიური მდგრადობა.

სწორედ კორუნდის კერამიკა იყო ის პირველი მასალა, რომელიც გამოიყენა ჩვენმა სასიქადულო დასტაქარმა, აწ განსვენებულმა აკად. ოთარ ღუდუშაურმა გასული საუკუნის 70-იან წლებში ხელოვნური სახსრების ინპლანტაციის საქმეში და ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიო მასშტაბით საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას მედიცინაში.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა გასული საუკუნის 80-იან წლებში შვეიცარიელი ფიზიკოსების, ნობელის პრემიის ლაურეატების დ.ბედნორცისა და კ. მიულერის მიერ ოქსიდური კერამიკის საფუძველზე ზეელექტროგამტარი მასალების მიღება. ვინ წარმოიდგენდა, რომ ოქსიდური კერამიკით, რომელიც თავის ბუნებით ელექტროიზოლატორია, შესაძლებელი იქნებოდა ზეელექტროგამტარი მასალის მიღება, რომლის ელექტრო წინაღობა პრაქტიკულად ნულის ტოლია. ეს აღმოჩენა, როგორც აღნიშნავს ნობელის პრემიის ლაურეატი აკად. ე. გინზბურგი, შორს სცილდება ჩვეულებრივი „აღმოჩენის“ ფარგლებს. რატომ? იმიტომ, რომ მაღალტემპერატურულ ზეელექტროგამტარობას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ტექნიკა და ენერგეტიკა. აი რამდენიმე ჩამონათვალი:

1. იაპონიაში შექმნილი პირველი ექსპერიმენტული მატარებელი „მაგლევი“ („მაგნიტური ლევიტაცია“, უკანასკნელი სიტყვა შეიძლება ვიგულისხმოთ, როგორც ლივლივი ჰაერში) ავითარებს სიჩქარეს ერთ საათში 500-600 კმ. ლოკომოტივი მოძრაობაში მოჰყავს ზეგამტარ მაგნიტურ „ბალიშს“ სისქით 20-30 სმ. მოგვიანებით ანალოგიური მატარებლები შეიქმნა საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში, კანადაში. ახლა მუშავდება ავტობანის პროექტები „ლევიტაციური“ ავტომანქანებისათვის.

2. სამედიცინო დიაგნოსტიკური ხელსაწყო ბმრ (ბირთვული მაგნიტური რეზონანსი) საშუალებას იძლევა, მივიღოთ ადამიანის ნებისმიერი ორგანოს დეტალური „ჭრილი“, სადაც ნათლად ჩანს სხვადასხვა სიმკვრივის ქსოვილი, რომელიც რენტგენულ სურათებში პრაქტიკულად არ ჩანს.

3. ზეგამტარმა კაბელმა შეიძლება მკვეთრად გაამარტივოს დიდ მანძილზე ელექტროენერგიის გადატანა ყოველგვარი გადამცემი ხაზების გარეშე, რაც საშუალებას იძლევა მიწის დიდი ფართი გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად.

გამჭვირვალე კერამიკის მიღება, რომელიც განხორციელდა გასული საუკუნის 70-80 წლებში, სამართლიანად ითვლება მეცნიერების დიდ მიღწევად. ეს მასალები ფართოდ გამოიყენება ახალი ტექნიკის სხვადასხვა დარგებში — შეიქმნა ღამის ხედვის ოპტიკური აპარატურა, კოსმოსური ხომალდების საკნები, ინტეგრალური სქემების საფენები, ინფრაწითელი ნათურების პანელები, მაღალინტენსიური სინათლის წყაროს გარსაცმები, რომლებიც 5-8-ჯერ აღემატება განათების სიმძლავრით ჩვეულებრივი ვარვარების ნათურებს მათი ერთნაირი სიმძლავრის პირობებში.

ბორის ნიტრიდის კუბური ფორმა „ბორაზონი“, რომლის სინთეზი ხდება მაღალი ტემპერატურის და წნევის პირობებში, სისალით არ ჩამოუვარდება ალმასს, ხოლო ცეცხლგამძლეობით 10-ჯერ აღემატება.

არ შეიძლება დიდი გულისტკივილი არ გამოვხატოთ ჩვენ ქვეყანაში ტექნიკური კერამიკის დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გამო. თუნდაც ის ფაქტი, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებაზე (კათედრაზე), სადაც ტრადიციულად მზადდებოდა კადრები ტექნიკური კერამიკის სპეციალობით, ბოლო წლებში პრაქტიკულად შეწყვეტილია აბიტურიენტების ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ. მიზეზი არა ერთი და ორია, 2003-2012 წლების განმავლობაში საქართველოში უმოწყალოდ განადგურდა, როგორც შესაბამისი საწარმოები, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, მავანის და მავანის პირადი ინტერესებით შეიქმნა ისეთი სპეციალობები, რომლებმაც ჩაახშო საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერული მიმართულებები, (გარკვეული ზეწოლა იყო ტექნიკურ უნივერსიტეტზეც, რომელსაც ჩალის ფასად წაართვეს შენობა-ნაგებობა და ტერიტორიის ნაწილი), ქვეყანა დაიფარა პურის საცხობი თონეებით, აფთიაქებით და ბენზინგასამართი ჯიხურებით.

სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებამ (კათედრამ) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში პირველებმა საერთაშორისო მასშტაბით, ქართული პერლიტით (ნინოწმინდის რაიონი, ფარავანი) შევცვალეთ დეფიციტური მინდვრის შპატი (ერთ-ერთი ძირითადი კერამიკული ნედლეული), რომელიც მოიპოვებოდა კოლის ნახევარკუნძულზე (ჩუპა), პოლარული წრის იქეთ, მუდმივი გამყინვარების ზონაში და ამ ნედლეულით მარაგდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირი, მათ შორის საქართველოც.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საჯაროდ პირველად ვაცხადებ: თბილისის კერამიკულ კომბინატში 1962-63 წლებში ჩავატარეთ საქარხნო ცდები და ჩვენ მიერ დამუშავებული რეცეპტურით გამოვუშვით სოლიდური რაოდენობით, დაახლოებით 5000 ცალი პერლიტის შემცველი დიდი ზომის კერამიკული ნაწარმი პირსაბანი ნიჟარები, უნიტაზები და სხვა.

მიუხედავად, მყარი და დამაჯერებელი არგუმენტებისა, გამოგონების სახელმწიფო კომიტეტმა უარი გვითხრა საავტორო უფლებაზე. ჩემი დღევანდელი ანალიზით უარყოფითი დასკვნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან დაწყებული მსოფლიოში და ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები დეფიციტური მინდვრის შპატების სხვა ბუნებრივი ნედლეულით შესაცვლელად. საექსპერტო ჯგუფმა ვერ აიტანა ჩვენი, როგორც პერიფერიის პრიორიტეტი. ღრმად ვიყავით რა დარწმუნებული ჩატარებული თეორიული კვლევების და პრაქტიკული შედეგების აქტუალურობაში, უშუალოდ მივმართეთ სახელმწიფოს იმდროინდელ პირველ პირს ნიკიტა ხრუშჩოვს. პასუხმაც არ დააყოვნა და დაახლოებით 2 კვირაში თბილისში შედეგების უშუალოდ ადგილზე გასაცნობად ჩამოვიდნენ საკავშირო საშენი მასალების მინისტრის პირველი მოადგილე ბოლდირევი (სახელი არ მახსოვს) და სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი ვლადიმერ დობუჟინსკი. პირადად სხვადასხვა საკითხზე ადრე მქონდა მათთან თბილი შეხვედრები. დადებითი დასკვნების შემდეგ კომიტეტმა „ინება“ და მოგვცეს საავტორო მოწმობა.

სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ დღეს პერლიტები გამოიყენება მთელ მსოფლიოში, როგორც ძლიერი ფლიუსი სხვადასხვა კერამიკულ მასებში. მიუხედავად ჩემი უარყოფითი აზრისა ნ. ხრუშჩოვის პიროვნების მიმართ, არ ვიქნები უმადური და გამოვხატავ მადლიერებას.

კვლავ მოვიმარჯვე კალამი და ახლა დახმარებისათვის 2013 წლის მარტში წერილით მივმართე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების იმდროინდელ მინისტრს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს. მცირე ამონარიდი წერილიდან:

„მდგომარეობა საგანგაშოა!

სიტუაციის დარეგულირების ერთ-ერთი პირობა ჩვენის აზრით, იქნებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებაზე უფასო სწავლების დაკანონება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

ბატონო მინისტრო!

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ აღნიშნული პრობლემა, თუ დროზე არ ვუწამლეთ შექმნილ მდგომარეობას, მის შემდგომ აღდგენას და აღორძინებას ათწლეულები არ ეყოფა, საქართველოში გაქრება მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რასაც შთამომავლობა არ გვაპატიებს.

წერილთან ერთად გიგზავნით ჩემს ერთ-ერთ საგაზეთო სტატიას, გთხოვთ, გაეცნოთ და თუ საჭიროდ ჩათვლით, პირადად გეახლებით.“

გზად – მომავლისკენ

მაგრამ ბატონმა გიორგიმ ჩვენი სამართლიანი თხოვნა არა თუ გულთან მიიტანა, არამედ, როგორც იტყვიან „არც პასუხი, არც სალამი“.

გასაოცარია, რომ იგივე ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლა უფასოა, ამიტომ ვეკითხები იმ ჩინოვნიკებს, რომლებმაც, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს – როგორ წარმოგიდგენიათ, ბატონებო, ნებისმიერი მშენებლობა სილიკატური მასალების – ცემენტის, კერამიკის და მინის გარეშე?

სამაგიეროდ ქართველი ხალხის სულიერმა მამამ, ჩვენმა ბრძენმა უწმინდესმა (ა/წ თებერვალში პატრიარქს მივართვი მისდამი მიძღვნილი ჩემი ახლად გამოცემული მონოგრაფია) თავის 2016 წლის სააღდგომო ეპისტოლეში მოუწოდა ქვეყნის ხელმძღვანელობას – **„მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას“**. დასკვნა თქვენთვის მომინდვია პატივცემულო მკითხველო. რას იზამ, ასეთია სინამდვილე, ასეთია რეალური ცხოვრება.

იქნებ ვინმემ იფიქროს, ან ეს ამბავი რა გასახსენებელი იყო, ან ისეთი რა გაკეთდა, რომ პრესაში გამოგვექეყნებინა. სავსებით ვეთანხმები ჩემს უცნობ ოპონენტს, მართლაც ქვეყანა არ გადაგვიტრიალებია, ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადავწყვიტეთ, ხოლო ამ ფაქტის გახსენება ჩვენი აზრით, წყლის ნაყვა და ენით ჭიკჭიკი არ გახლავს.

ჯერ კიდევ როდის თქვა არისტოტელემ: „ზნეობა – ეს არის იცხოვრო შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით“, რაც მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია და ზეციდან... ღმერთისგანაა ნაბოძები.

აი, ასეთი გახლავთ ჩვენი დედაეკლესიის საჭეთმპყრობელი, როგორც ხელოვნებისგულით ვერ დაფარავ დედამიწის მანათობლის ბრწყინვალებას, ასევე მის პიროვნებას ვერ შელახავს 30 ვერცხლად სინდისგაყიდული, ჭაობში ყელამდე ჩაფლული ავმესიტყვეთა ყიყინი.

ქვევრის სკოლა-სახელოსნოს საძირკვლის კურთხევა

ღმერთო, ცა-ქვეყნის გამჩენო! ჯანმრთელად გვიმყოფე და დიდხანს გვიცოცხლე ჩვენი პატრიარქი.

უძველესი დროიდან ცნობილია თიხების სამკურნალო თვისებები სახალხო მედიცინაში. შემდგომ პერიოდში მათი ეფექტიანი სამკურნალო შესაძლებლობები შეცვალა ძლიერმოქმედი ქიმიური პრეპარატებით. უკანასკნელ წლებში მეცნიერ მედიკოსებმა განაახლეს და მთელ მსოფლიოში ფართოდ გაიშალა თიხების მეცნიერული კვლევითი სამუშაოები სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და დღეს დამტკიცებულია მრავალი სიკეთე ამ უნიკალური თვისებების მქონე ბუნებრივი ნედლეულების გამოყენებით. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

ავადმყოფობა, რომელიც მიეკუთვნება თავისუფალი რადიკალების პათოლოგიის კლასს ფართოდაა გავრცელებული. რა არის თავისუფალი რადიკალი ან საიდან წარმოიქმნება იგი? თავისუფალი რადიკალი წარმოიქმნება ორგანიზმში მეტაბოლიზმის კატაბოლურ ფაზაში ნივთიერებათა დაშლის დროს. თავისუფალი რადიკალების დიდი რაოდენობა განაპირობებს ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების შეფერხებას და ხშირ შემთხვევაში არის ბევრი პათოლოგიური პროცესის ჩამრთველი მექანიზმი. ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა ონკოლოგიური, ვირუსული და ინფექციური, ასევე ალერგიული გამოვლინებები: შარდმჟავა, დიათეზი და კიდევ მრავალი სხვა, რაც წარმოადგენს თავისუფალი რადიკალების, ანუ ტოქსინების ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით არსებობის შედეგს. ასევე ნაადრევი სიბერეც თავისუფალი რადიკალების აქტიურობითაა გამოწვეული.

2014-16 წლებში შევისწავლეთ კასპის რაიონში არსებული ბენტონიტური თიხები, რომელთა შედგენილობაში შედის ისეთი კომბინირებული მინერალები, რომლებიც ხასიათდებიან ფართო სპექტრით და პარამაგნიტური ცენტრების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რაც განსაზღვრავს მათ ბიოლოგიურ აქტიურობას და ბრძოლას თავისუფალი რადიკალების მიმართ.

ჩვენი რჩევაა: მივიღოთ მწვანე ჩაი, რომელიც შეიცავს პოლიფენოლებს – თავისუფალი რადიკალების „ბუნებრივ მკვლელებს“, ალავერდის ეპარქიის მშრალი წითელი ღვინო, რაციონში მეტი ხილი და ბოსტნეული, მივსდიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს, განსაკუთრებით – ნადირობასა და თევზაობას.

გერმანულმა ფირმა „სანო ჰოლდინგმა“, რომლის ოფისი ქ. მიუნხენშია, 2015 წლის ივლისში ქართველ პარტნიორთან დოქტორ სოფიო სანაძესთან ერთად, საქართველოში დააფუძნა ფირმა „სანო – ცხოველთა თანამედროვე ჯანსაღი კვება“, ფირმის დებულების ერთ-ერთი მუხლია:

„მნიშვნელოვან მიმართულებას თანამედროვე ვეტერინარულ მედიცინაში წარმოადგენს ადგილობრივი ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენება ცხოველთა კომბინირებულ საკვებში. ასეთი დანამატების ალუმოსილიკატების ფართო ჯგუფი მინერალების მონტმორილონიტისა და კლინოპტილოლიტის შემცველობით. მათი გამოყენება აუმჯობესებს ცხოველის პროფილაქტიკურ-სამკურნალო პირობებს და მკვეთრად ზრდის პროდუქტის სამრეწველო პროდუქტიულობას“.

აღნიშნული საკითხი განხილულია ფირმის ხელმძღვანელსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს შორის და განზრახულია, ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნას სპეციალობა „მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია“.

ასევე განზრახულია საქართველოში აშენდეს კომბინირებული საკვების მწარმოებელი ქარხანა.

დამუშავებულია ახალი გამარტივებული ტექნოლოგია ვანის ქედის (ოზურგეთი) ბენტონიტური თიხისაგან წვრილი დისპერსული ნანოკოლოიდური სუსპენზიის მიღების, რომლებიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, კოსმეტიკაში და სხვა დარგებში.

ვფიქრობთ, ყოველი მკვლევარი, რომელიც ნანოზომის ნაწილაკებს ხელოვნურად იღებს მასალის ვიბროწისქვილში ხანგრძლივი დაფქვით (ან ნებისმიერი სხვა გზით), ხოლო ანალოგიური ნაწილაკების სინთეზს ვახდენთ ბუნებრივი მონტმორილონიტური ჯგუფის მინერალებისაგან (მონტმორილონიტი, საპონიტი, ბეიდელიტი და სხვა) ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დამეთანხმება, რომ ამ ორ მოქმედებას შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც მყინვარიდან გამოხეთქილ ჩანჩქერში სპინინგით კალმახის ჭერასა და მზისგან ამომშრალი ტბის გუბეში ქორჭილას ჭერას შორის, ან ჩოგბურთელის მიერ დევისის თასის მოგება, შეჯიბრება, რომ უდაბნო საჰარაში ტარდებოდეს (ამერიკელი დევისის მიერ 1901 წელს დაწესებული საერთაშორისო გარდამავალი პრიზი ჩოგბურთში).

გამოვხატავთ რა ჩვენს ღრმა პატივისცემას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელი მინისტრის, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას მიმართ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს გვეწვიოთ ტექნიკური უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, გაეცნოთ ბოლო წლებში ჩვენი კვლევების შედეგებს და დაგვისახოთ სასწავლო პროცესების გაუმჯობესების თქვენებური ხედვა.

* * *

საქართველოს მდიდარ წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან მჭიდროდაა დაკავშირებული ვაზი, ვენახი და ღვინო.

საყოველთაო აღიარებით, ვაზისა და ღვინის ერთ-ერთ სამშობლოდ კავკასია ითვლება და ცხადია, აქ უპირველესი ადგილი საქართველოს ეკუთვნის, სადაც 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია დაფიქსირებული.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანულ სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ვაზის ლერწებისაგან შეკრული ჯვრით ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ასევე მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კალენდარში შემოდგომის ის პერიოდი, როცა ყურძენი იკრიფება, ღვინობისთვედ არ იწოდება.

მკვლევარების აზრით, ვაზი ქართველებისთვის სისხლხორცეული ქმნილებაა, მით უმეტეს, ერთადერთი ქართველები ათანაბრებენ ვაზს შვილთან, რასაც ადასტურებს ხატოვანი გამოთქმა – ვაზო, შვილივით ნაზარდო, სადღაც წამიკითხავს, რომ იყალთოს აკადემიაში ყველა სწავლულსა და მოზრდილ მოსწავლეს მაგიდის ქვეშ პატარა ჭური ჰქონდა და დაღლილობა-მოდუნების ჟამს აზროვნებას ღვინით იფხიზლებდა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, სოფელ იყალთოში აშენდა კერამიკული ქვევრის სკოლა- სახელოსნო (წარმოების გახსნა ნავარაუდევია უახლოეს დღეებში). იუნესკოს მიერ ქვევრს და ქვევრის ღვინოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

სიმბოლურია, რომ საწარმო აშენდა ალავერდის სამონასტრო ეპარქიის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ქართულ-მართლმადიდებლურ ცენტრს, რომლის წინამძღოლი და მომავალი მრავალდარგოვანი საწარმოს ფუნქციონირების სულისჩამდგმელია საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.

საწარმო აღჭურვილია ჩინური, გერმანული და იტალიური ფირმების დანადგარებით და აპარატურით, რაც აუცილებელი პირობაა ჩვენ მიერ დამუშავებულ ინოვაციურ ტექნოლოგიებთან ერთად ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოში ორი თანამედროვე აღჭურვილობის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების მშენებლობას, რაც გაცხადდა მთავრობის თავმჯდომარის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის ამას წინანდელ საჯარო გამოსვლაში, რაოდენ სასიხარულოა, რომ მათი მშენებლობა მოხდება არა გარედან შემოსული ზოგჯერ „დამადლებული“ სახსრებით, არამედ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი მეცენატის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის საკუთარი ფინანსირებით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ახალ უნივერსიტეტში ექნება კერამიკას, რომელსაც მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნილების მიხედვით შეუძლია ნებისმიერი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მასალების სინთეზი.

ჩვენ ძალიან მოკლედ წარმოვაჩინეთ კერამიკის ზოგიერთი მიმართულება. ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია, სრულად ვაჩვენოთ დარგის ათობითი ახალი მიმართულება, ყველაფრის ჩამოთვლას ერთი კალამი არ ეყოფა.

გაიარა რა განვითარების ათასეული წლები, კერამიკამ არათუ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, არამედ ამჟამად აყვავების პერიოდშია, განიცდის მეორე ახალგაზრდობას. გრანდიოზულია კერამიკის განვითარების პერსპექტივები უახლოეს და უშორეს წლებში. ეს კეთილშობილი მასალა თავისი ამოუწურავი შესაძლებლობებით ფართოდ უნდა ჩავაყენოთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

სამართლიანად უწოდეს მეცნიერებმა კერამიკას XXI საუკუნის მასალა.

გურამ გაფრინდაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი

დიმიტრი ქუმსიშვილი: გენერალური განაშენიანების გეგმის გარეშე კურორტები ქაოტურად განვითარდება

„როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის განვითარებაზე, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სწორი მოწყობა და სწორი სივრცითი განვითარება“ – ამის შესახებ დიმიტრი ქუმსიშვილმა პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

„ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც პრემიერ-მინისტრს და მის გუნდს გაგვაჩნია, არის ქვეყნის სივრცითი მოწყობა. ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით, საკმაოდ დიდ ინვესტიციებს ვდებთ. დღეს უკვე შეთანხმებულია ურეკი-შეკვეთილის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ასევე მიმდინარე პროექტებია მესტიის მუნიციპალიტეტის და მულახის თემის მიწათსარგებლობის გეგმა. ეს არის 11 სოფელი, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს არის ახმეტის მუნიციპალიტეტი და თუშეთი, ეს არის ბაკურიანი და დიდი მიტარბი, ეს არის ბახმარო და კობი-გუდაური. ახლა დაგეგმილ პროექტებში კი გვაქვს იყალთოს ხევი, შაორი, უწერა და ატენის ხეობა“ – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა. პირველი ვიცე-პრემიერის თქმით, ნებისმიერ მიწის ნაკვეთს, მათ შორის კურორტსაც, აქვს თავისი რესურსი, ეს არის ჩვეულებრივი აქტივი და მისი სწორად გამოყენებისთვის კეთდება გენერალური განაშენიანებისა და სივრცითი მოწყობის გეგმები.

„რატომ არის მნიშვნელოვანი გენერალური განაშენიანების პროექტი? როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ კურორტი გვინდა განვავითაროთ და არ ვიცით, ზუსტად რა გვინდა ამ კურორტისგან, კურორტი ვითარდება ქაოტურად. შესაბამისად, მაქსიმალურ ეფექტს მისი რესურსის გამოყენებისგან ჩვენ ვერ ვიღებთ. ხოლო როცა არსებობს გენერალური და სივრცითი მოწყობის გეგმები, ინვესტორმა უკვე იცის, საბოლოოდ რამდენი საწოლი იქნება, რამდენი სასტუმრო უნდა აშენდეს, რამდენი იქნება კომერციული და საცხოვრებელი ფართი, როგორი იქნება გზები, როგორი იქნება წყალმომარაგება. სწორედ ამ ყველაფრისთვის ვიხარჯებით აქტიურად“ – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

„სტარტი“ სტარტს იღებს

ა.ა.ი.პ „სტარტფესტი“ ორგანიზებით და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, ამა წლის 23-25 სექტემბერს თბილისში გაიმართება მუსიკისა და ხელოვნების ბავშვთა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „სტარტი“, რომლის ანალოგიც უამრავ ქვეყანაში ყოველწლიურად წარმატებით ტარდება და რომელსაც ჩვენი დედაქალაქი პირველად უმასპინძლებს. საკონკურსო ტურები და გალა კონცერტი გაიმართება მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

კონკურსში მონაწილეობას 6-დან 17 წლამდე ახალგაზრდები მიიღებენ და წარმოადგენენ როგორც სასიმღერო, ისე მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნომრებს. ქართველ შემსრულებლებთან ერთად ხუთი სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტები წარდგებიან მაყურებლის წინაშე. კონკურსი მოიცავს ორ საშემსრულებლო ტურს, მონაწილეებს შეაფასებენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ჟიურის წევრები. გამარჯვებულები გრანდიოზულ გალა-კონცერტზე დაჯილდოვდებიან, რომელშიც კონკურსანტებთან ერთად ცნობილი ქართველი შემსრულებლებიც მიიღებენ მონაწილეობას. გალა-კონცერტი იქნება საქველმოქმედო.

თუ ქეციან და კანალიზაციის ვირთხა მინისტრებს საქმის „გახსნა“ უნდოდათ, სიმართლეს პრად დაგიდევდნენ

გთავაზობთ სპეცრაზმელის ნაამბობს, რომელსაც ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს (ყოფილი სპეცრაზმელის ვინაობას შეგნებულად არ ვამხელთ, რათა სხვადასხვა მიზეზის გამო, მის სიცოცხლეს არ შეექმნას საფრთხე):

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ ჩავაბარე სამხედრო აკადემიაში და საკონტრაქტო ხელშეკრულებით ჩავირიცხე სპეცრაზმში. ხელფასი მქონდა 800 ლარი. კოჯრის ტყესთან, დაახლოებით ერთ კილომეტრში, 2004 წლის 15 ნოემბერს, ნახეს ვინმე თემურ ბეჟუაშვილისა და რუსუდან ფირცხალავას გვამები. მათ მიყენებული ჰქონდათ ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით. ესენი მეგობრები იყვნენ თუ საყვარლები, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ქალს ჰყავდა ქმარი, რომელიც ციხეში იჯდა და სანამ მკვლელობა მოხდებოდა, მაგ პერიოდში გათავისუფლდა. ამის შესახებ გვიან გავიგე, როცა უკვე სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს.

2005 წლის ივლისში ჩემი ბატალიონის ხელმძღვანელობა მეუბნება, შენ კოდორიდან ხარ, იქ რაღაცებია დანაღმული და გვჭირდები, თავდაცვის სამინისტროში გიბარებენო. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს, მიმიყვანეს სამინისტროში და უცებ ჩემთვის უცნობმა პირებმა დამადეს ხელბორკილები, ცემა-ტყეპით და გინებით წამიყვანეს, შე მკვლელო, შე გათახსირებულოო! ვერ გავიგე, რა ხდებოდა, ჩამაგდეს მანქანაში და მიმათრიეს პოლიციის სამმართველოში. მათი მტკიცებით, თურმე ეს ორი ადამიანი მე მოვკალი ვინმე ალექსანდრე ზაკუტოვთან ერთად. ზაკუტოვი მსახურობდა სავალდებულო ჯარში, ოღონდ ჩვენსავე ბატალიონში, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი და წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იყო. შემდეგ მოდის გამომძიებელი, მოჰყავს თავისი ადვოკატი, რომელიც თურმე სინამდვილეში პროკურორია და მიკერავენ საქმეს, ზაკუტოვი შენ გადანაშაულებს მკვლელობაშიო.

ის თავის ჩვენებაში ჰყვება ასეთ რაღაცას: თურმე წინა დღეებში მე შევხვდი მას და ვუთხარი, 500 დოლარი მაქვს ვალი, დამეხმარე, კოჯრის ტყეში „დაჩები“ რომ არის, უნდა გავქურდო-მეთქი. თითქოს ის დამთანხმდა, ღამის 10 საათზე მე მივატოვე სამხედრო ნაწილი, ისიც გამოიპარა, წავედით ტყეში. მე მქონდა ავტომატი, „ლიმონკა“, ტყვიები და ასე შემდეგ. შევედით ერთ-ერთ „დაჩაზე“, უცებ სიგნალიზაცია ჩაირთო, მოვიდა დაცვის პოლიცია, მათ ცეცხლი გავუხსენი, „ლიმონკა“ გადავაგდე, ერთი პოლიციელი დაიჭრა. ორივენი გამოვიქეცით, ტყეს შევაფარეთ თავი. გათენდა, საღამოს 5 საათზე ტყეში შევამჩნიეთ მანქანა. მივედით, იქ დაგვხვდნენ გოგო და ბიჭი, ავიღე ავტომატი, გადავტენე და ჩავცხრილე. თურმე ესენი მარტო მე დავხოცე, ზაკუტოვი არაფერ შუაში არ არის, აიღო მობილური, ტანსაცმელი, რაღაც ნივთები და წამოვედით სამხედრო ნაწილში. მერე ზაკუტოვმა იარაღი და ნაძარცვი ნივთები წაიღო თავის სახლში. ერთ ჩვენებაში წერს, რომ ყველაფერი დამალა თიკვაში, მეორეში წერს, დედაჩემს ჩავაბარეო. ამ ადამიანმა ოთხჯერ შეცვალა ჩვენება.

ასე დამაპატიმრეს ერთი „მოწმის“ ჩვენების საფუძველზე და მომისაჯეს სამუდამო პატიმრობა. სასამართლომ განაჩენი ისე გამოიტანა, იარაღი არ ამოუღიათ, არსებობს მხოლოდ ზაკუტოვის მონაყოლი, რომელიც არის ფანტაზიის ნაყოფი... რაც პროკურატურას უნდოდა, ის დაწერეს და ხელი მოაწერინეს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სამივე ინსტანციის სასამართლომ დაიჯერა. არც თითის ანაბეჭდები არსებობს და მეტიც, ჩემგან არავითარი ნივთმტკიცება არ ამოუღიათ. რაც შეეხება მკაცრი აღრიცხვის ჟურნალს, სასამართლომ ამოიღო და იქ სიტყვასიტყვით წერია, რომ მაშინ კარანტინში ვიყავით, 10 დღე ნატოს სტანდარტების შესაბამისად ვემზადებოდით და 5 წუთითაც კი არავინ გამიშვებდა ნაწილიდან. ჩვენი ინსტრუქტორებიც მოიყვანეს, დაჰკითხეს. ასევე მოიყვანეს სპეცრაზმელები, მაგრამ მათი ჩვენებები არ გაითვალისწინეს. ინსტრუქტორები თურქები იყვნენ, ჩემი გულისთვის თავს საფრთხეში ხომ არ ჩაიგდებდნენ, ტყუილ ჩვენებებს ხომ არ მისცემდნენ?

პროცესზე მოსამართლეს ვკითხე, ერთი მოწმის ჩვენების გარდა ხომ არაფერი გაქვთ-მეთქი? არა, მეტი არაფერი გვაქვსო. ზაკუტოვს სანამ ჯარში გაიწვევდნენ, იარაღის უკანონო ტარების გამო პირობითი ჰქონდა მისჯილი. როგორ შეიძლება, ამ ადამიანს რამე დაუჯერონ?

მე ვიყავი ერთი საცოდავი ლტოლვილი, გლეხების შვილი, არც ბიძები მყოლია, არც გავლენიანი ნაცნობები და გამომიყენეს. თქვეს, ერთი ამისი დედაცო და შემომაგდეს ციხეში. პროკურორებს და მოსამართლეებს სოცშეჯიბრი ჰქონდათ გამოცხადებული, ვისაც პატრონი არ ჰყავდა, დაიჭერდნენ და რამდენიც არ უნდა ემტკიცებინა, აღარაფერი აღარ ჭრიდა. ზაკუტოვს ვუთხარი, ბიჭო, რატომ მღუპავ-მეთქი? რა ვქნა, თუ ამას არ გავაკეთებ, ოჯახს ამომიწყვეტენ და ციხეში დამალპობენო.

ამათ უნდოდათ, ეჩვენებინათ, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ისეთი მაგრები არიან, დანაშაულს სამხედრო უწყებებშიც კი სწრაფად ხსნიანო. მე ჩვენების მიღების პროცესში დამაინვალიდეს, დამლეწეს, მაგრამ აღიარებითი ჩვენება მაინც არ მიმიცია. ქეციანი ვანო და კანალიზაციის ვირთხა ადეიშვილი საქმეებს 90 პროცენტით ჩვენს ხარჯზე ხსნიდნენ.

expressinfo.ge

როდის ექნებათ თაღლითებს ჩვენი გაცურების ნაკლები შანსი?

ორიოდ სიტყვა „სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებაზე“

საპარლამენტო არჩევნების წინ აფხაზურ-ოსური თემატიკა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „თითქმის არ ჟღერს“ – ეს არ ნიშნავს, რომ „საერთოდ არ ჟღერს“. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ძალიან აქტიურად საუბრობენ პრორუსული ძალები.

თავისთავად მოსაზრება – „თუ კარგად მოვიქცევით, რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაგვიბრუნებს“ – უკვე დიდი ხანია, სიახლე აღარ არის.

დებატები ამ თემაზე ძირშივე არასწორად მიმდინარეობს. პროდასავლურად განწყობილი მოქალაქეები აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ტერიტორიების სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ხარჯზე დაბრუნება ცუდი იდეაა და ქვეყნის ერთი ან ორი თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ დადგება მთლიანობაში ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. ნაწილი ხომ ყოველთვის მთელზე ნაკლებია. თუმცა ამ დროს შესაძლოა, შეიქმნას არასწორი წარმოდგენა, რომ „კარგი ქცევის“ ფასად ტერიტორიების შესაძლო დაბრუნების თავად ფაქტი უდავო რამაა.

რეალურად, ტერიტორიების დაბრუნება ევრაზიულ კავშირში გაწევრების ფასად – ეს ისეთივე მითია, როგორიც საქართველოს დასაპყრობად მომავალი ჰომოსექსუალების გაბოროტებული არმიები. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ თავად კრემლი ამ თემაზე ყრუდ დუმს.

ხანდახან ჩემთვისაც გაუგებარია, რას უკავშირდება ეს. მართლაცდა, რა პრობლემაა პუტინისთვის, უბრალოდ მოიტყუოს და ქართველებს ევრაზეკ-ის ფასად აფხაზეთის დაბრუნებას დაჰპირდეს? ეს ხომ მნიშვნელოვნად გაზრდიდა პრომოსკოვური ძალების კაპიტალიზაციას საქართველოში! ერთი-ორჯერ მოიტყუე – სულ ეს არის.

თუმცა არა – მყარად დუმს. როგორც ჩანს, ეს ტყუილი მეტისმეტად უნამუსო იქნებოდა კრემლის ამჟამინდელი ბინადრებისთვისაც კი, რომლებიც თამამად შეიძლება, ჩაითვალონ მსოფლიო ჩემპიონებად ტყუილში სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. მეტიც, პუტინს და მედვედევს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ „ქართულ მხარეს მოუწევს, ახალ რეალობას შეეგუოს“. ელემენტარულის გასაგებად ზედმეტად ბეცებისთვის განვმარტავ: „ახალი რეალობა“ – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაა, რომლის უკან გაწვევას არავინ გეგმავს.

100%-ით ვარ დარწმუნებული: არავინ არანაირი პირობით არაფრის დაბრუნებას არ გვიპირებს. ჯერ ერთი, არც ერთი იმპერია არასოდეს ვაჭრობს მოკავშირეებით, სხვა შემთხვევაში ერთ კვირაში იმპერია

აღარ იქნება. „თქვენ ეს მოგვეცით – და ჩვენ იმას დაგიბრუნებთ“ – წვრილი ვაჭრების ფსიქოლოგიაა, ქართული ლუმპენ-პროლეტარიატის, რომელიც მზადაა, თათები ნაკლებ ფასადაც ასწიოს. მაგრამ იმპერიები ასე არ აზროვნებენ.

მეორე: ჩვენ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ, რომ არანაირი აფხაზები და ოსები არ არსებობენ და ყველაფერს რუსეთი წყვეტს, რეალურად კი, რა თქმა უნდა, იქ ყველაფერს მოსკოვი წყვეტს, მაგრამ მანამდე, სანამ იგი დამოუკიდებლობისა და ფინანსური სტაბილურობის გარანტად რჩება. ოსების მაგივრად არ ვიტყვი, რადგან მათ ცუდად ვიცნობ, მაგრამ აფხაზებზე შემიძლია, ვთქვა, რომ რუსეთის ერთი სიტყვა – ჰიპოთეტიური – საკმარისი არ იქნება. საჭირო იქნება მათი იძულება, ეს კი იმპერიულ გარემოში დიდ ხმაურს გმოიწვევს – „კრემლი ჩვენს ერთგულ აფხაზებსა და ოსებს „აბარებსო“...

მოდით, წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, საქართველო რომ მაინც გაწევრდეს ევრაზიულ კავშირში. პუტინი აუცილებლად იტყვის, „პატივი უნდა ვცეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხების არჩევანს, თუმცა ჩვენ ხელს შევუწყობთ მათ თბილისთან დიალოგსო“.

შემდეგ დაიწყება შეხვედრები, რომლებიც აქტიურად დაპიარდება საქართველოში სოუსით „ცოტაც და... ბოლო ბრძოლა ყველაზე რთულიაო“. გამორიცხული არ არის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობიდან ვინმე თბილისში ჩამოვიდეს და „კონსტრუქციულ დიალოგზე“ დაიწყოს საუბარი. აუცილებლად შეიქმნება დევნილების საკითხებზე მომუშავე კომისია.. ერთი სიტყვით, წარმოიქმნება სრული ილუზია იმისა, თითქოს კონფლიქტი წუთი-წუთზე გადაწყდება. თუმცა პიარი სწორედ იმითაა ცუდი, რომ მუდმივად ენთუზიაზმზე ვერ დგას.

მოლაპარაკებების მსვლელობისას აღინიშნება, რომ მხარეებს „რიგი ტექნიკური საკითხების გადაჭრა დარჩათ“... დამაიმედებლად ჟღერს, სანამ არ შეიტყობ, რომ მთავარი „ტექნიკური საკითხი“ – ეს აფხაზებისა და ოსების არსურვილია, ქართველები დააბრუნონ – ანუ ის, რის გარეშეც კონფლიქტის მოწესრიგება შეუძლებელია.

საბოლოო ჯამში, ხანგრძლივი აპლოდისმენტების თანხლებით შეიქმნება ოთხხუთ, შესაძლოა, ექვსმხრივი კომისიაც კი, რომელსაც მოუწევს, გადაწყვიტოს, დევნილებიდან რომელი შეიძლება, დაბრუნდეს, რომელი – არა. მისი მოქმედების შედეგად დაბრუნების ნებას მათ დართავენ, ვინც 90 წელზე ახალგაზრდა არ არის, შთამომავლობა არ ჰყავს და დამოუკიდებელი „აფსნის“ ტერიტორიაზე კვირაზე მეტს ვერ გაძლებს – შემდეგ საიქიოში გადაინაცვლებს.

პრობლემა ქაღალდების დასტაში ჩაიძირება, შეიქმნება ახალი კომისიები სხვა კომისიების საქმიანობის გასაკონტროლებლად, და ერთ-ორ წელიწადში აღმოვაჩენთ, რომ დავკარგეთ ქვეყანა, რომ საქართველოს ახლა ისევ კორუმპირებული მოქეიფეები და ხარბი კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ – მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მივიღეთ. აი გაცურებაც ამას ჰქვია!

და მეტიც, დარწმუნებული ვარ, არ იქნება არანაირი „ტერიტორიების დაბრუნება“ ჩვენი გაგებით, სასწაულიც რომ მოხდეს და რუსეთის პრეზიდენტი კასიანოვი გახდეს, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი – ვიქტორ შენდეროვიჩი.

როგორც არ უნდა ატრიალო, სახელმწიფოს მემკვიდრეობითობა არავის გაუუქმებია. შეუძლებელია, მოხვიდე ხელისუფლებაში და დაამსხვრიო ყველა არსებული შეთანხმება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ავტორი საძულველი და ახლა უკვე წასული ხელისუფლებაა. პრეზიდენტი კასიანოვიც კი ვერ დაგვიბრუნებს ტერიტორიებს. ერთადერთი, რასაც შეძლებს, და ისიც – თუ ძალიან მოინდომებს, – სეპარატისტებისთვის უპირობო დახმარების შეწყვეტა იქნება.

ეს ყველაფერი დაახლოებით ასე იქნება წარმოდგენილი. პრეზიდენტი კასიანოვი ეტყვის ქართველებს: **„იცით, ისე მოხდა, რომ რუსეთი მათი ხელშეუხებლობის გარანტია და ამას უკვე ვეღარ შეცვლი. ჩვენ მათ არავის დავაჩაგვრინებთ, თუმცა არც წავაქეზებთო“.**

შემდეგ ეტყვის აფხაზებსა და ოსებს: **„ჩვენ თქვენი ხელშეუხებლობის გარანტი ვართ და თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებთ. მაგრამ მუდმივად ვერ დაგიხსნით. საკმარისია, წადით და მოელაპარაკეთ რაიმე რეალურზე საქართველოსო“.**

ესეც კი აუხდენელი ფანტაზიაა, ვინაიდან კასიანოვი, სავარაუდოდ, არასოდეს გახდება რუსეთის პრეზიდენტი, თუმცა ნათელია, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს რუსეთის ხელისუფლებაში, ჩვენთვის რაიმეს ჩუქებას არავინ აპირებს. რაც მალე გავაცნობიერებთ ამას, მით ნაკლები შანსი ექნებათ სხვადასხვა ყაიდის თაღლითებს, კიდევ ერთხელ გაგვაცურონ...

http://www.ekhokavkaza.com/a/28000791.html

განათლების მინისტრის განცხადებით, ბათუმში თურქული სკოლის უნებართვოდ აშენების შესახებ არ იცოდა

„თურქეთის საელჩოს ჩვენთან ჰქონდა კომუნიკაცია, რომ სკოლის გახსნის სურვილი ჰქონდათ, ჩვენ მათ მოვუწოდეთ, რომ ამ სკოლას ქართული კანონმდებლობით გაევლო ავტორიზაცია“, — აცხადებს განათლების მინისტრი ბათუმის თურქული სკოლის გახსნასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ სკოლის მშენებლობა კანონმდებლობის გვერდის ავლით სრულიად უნებართვოდ დაიწყეს.

„ეს სკოლა რომ ყოფილიყო ქართული სკოლა, ამაზე პრინციპში, შეთანხმებას მივაღწიეთ. ჩვენ ვაპირებდით, რომ ეს სკოლა ყოფილიყო ქართული კანონმდებლობით ავტორიზებული და სრულფასოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება. ფაქტი, რომ თურმე მშენებლობის ნებართვა არ ყოფილა გაცემული, აბსოლუტურად მიუღებელი და დაუჯერებელია. კანონდარღვევით სკოლის კი არა, საერთოდ არაფრის მშენებლობა და გახსნა არ უნდა მოხდეს, მით უმეტეს, სკოლის. ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აბსოლუტურად უფლებამოსილია კანონის ფარგლებში იმოქმედოს. ასევე ჩემთვის ძალიან მიუღებელია, რომ სკოლის მესვეურებმა გადაწყვიტეს, არ დაეპატიჟათ განათლების სამინისტროს არც თბილისის, არც ადგილობრივი წარმომადგენელი ან ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს არ არის ისე, როგორც ზოგადად საქმე კეთდება. ეთიკის, ჩვენი და თურქი ხალხის მეგობრობის კონტექსტშიც შეიძლება ვთქვათ, რომ არასწორია. მიუხედავად ყველაფრისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას მოვაგვარებთ. თურქეთის დიპლომატიურ კორპუსთან და თურქეთის სახელმწიფოსთან ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში ჩვენ ამ სირთულეს გადავლახავთ და მივიღებთ ქართული კანონმდებლობით სრულად აკრედიტებულ, გამართულ, ძალიან კარგ სასწავლო დაწესებულებას“, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ. განათლების მინისტრმა დაადასტურა, რომ ბათუმში გახსნილი თურქული სკოლა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ავტორიზებული არ არის. თუმცა მინისტრმა იქვე აღნიშნა, რომ საქართველოში ასეთი არაერთი სკოლაა. **„ხაზს ვუსვამ, რომ მოლაპარაკების პროცესში ჩვენი წინადადება იყო, სკოლა ყოფილიყო ერთობლივი ანუ ქართული კანონმდებლობით გაკეთებული. ვფიქრობ, ერთობლივი მუშაობით ამას მივაღწევთ“,** — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ. ახალი თურქული სკოლა ბათუმში რამდენიმე დღის წინ გაიხსნა. სკოლის გახსნაზე ქართული მხარე მიწვეული არ იყო. ბათუმის მერიამ შესაძლოა, უკანონოდ აშენებული სკოლის დემონტაჟი მოითხოვოს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ლეგიტიმურია

„ძალიან ვწუხვარ ,რომ კონკრეტული ადამიანები საკუთარ ინტერესებს აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე მაღლა“, — ეს განცხადება განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯლავამ ტექნიკურ უნივერისტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებისას გააკეთა.

განათლების მინისტრის თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც ახლა ხელმძღვანელობს ტექნიკურ უნივერსიტეტს, არის აბსოლუტურად ლეგიტიმური.

ტექნიკური უნივერისტეტის ლექტორებისა და სტუდენტების ნაწილი რექტორის მესამე ვადით არჩევას აპროტესტებს, შიმშილობას აცხადებს და პერმანენტული აქციებით იმუქრებიან.

ფრანგიშვილი ნანუაშვილს კანონში ჩახედვას ურჩევს

საქართველოს ტექნიკურ უნივერისტეტში ლექტორთა და სტუდენტთა ნაწილის პროტესტი გრძელდება. ტექნიკურ უნივერისტეტში რექტორის არჩილ ფრანგიშვილის მესამე ვადით არჩევას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ თუ არ დატოვებს ფრანგიშვილი პოსტს პერმანენტულ აქციებსა და შიმშილობას დაიწყებენ.

არჩილ ფრანგიშვილი დღეს სახალხო დამცველის რეკომენდაციასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ უჩა ნანუაშვილმა განათლების შესახებ კანონი არ იცის და სჯობს, ჯერ გაეცნოს.

„სჯობს, წაიკითხოს, რა წერია კარგად. მერე ეს დოკუმენტაცია მიიღოს უნივერსიტეტიდან. სახალხო დამცველი ცდება თავის კომპეტენციას. პროკურატურა აქტიურადაა ჩართული ამ საკითხში და ახლა როცა მიმდინარეობს ეს პროცესი, მათ გადაწყვიტეს აქციები მოაწყონ,“ — განაცხადა ფრანგიშვილმა.

◎ საგულისყურო ინიციატივა

ჩემს ქალაქში მინდა, ყაროზდეს ჩემი დარგული ხე!

ბოლო ხანს ძალზე გახშირდა სერიოზული სჯა-ბაასი თბილისის მწვანე საფარის, ანუ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობის მთავარი გარანტორის — ხეების და ტყე-პარკების მოვლა-პატრონობის პრობლემებთან დაკავშირებით.

მქონდა პატივი მიწვეული სტუმრის სტატუსით, 2016 წლის 16 მარტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში დავსწრებოდი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, ხოლო 2016 წლის 26 აგვისტოს — თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ საგანგებო სხდომას. არავის ეწყინოს და, ამ თვალსაზრისით პრესის ორგანოებს შორის აშკარად ლიდერობს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. ზემოთ ნახსენები კონფერენციისა და სხდომის შემდეგ, როგორც იტყვიან, მოსვენება დავკარგე და დღედაღამ ვფიქრობ — რა ეშველება ამ პრობლემას?! ამასთან დაკავშირებით, თავს უფლებას ვაძლევ, გაგანდოთ ჩემი ერთი წინადადება — **დედაქალაქის ნებისმიერ მოქალაქეს სურვილი და უფლება უნდა ჰქონდეს, რომ მერიის სათანადო სამსახურების მიერ განსაზღვრულ ადგილებში დარგოს და გაახაროს თავისი სახელობის ხე,** რომელიც შემდგომში, თითოეული ჩვენგანის შთამომავლობის ზრუნვის საგანი გახდება, რაც თავისი მნიშვნელობით ლამის ჩვენი ერის დემოგრაფიული განვითარების პრობლემის ტოლფასია. დედაქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, ქაოტურად და დაუგეგმავად ამ პრობლემის გადაწყვეტა დაუშვებელია, რათა მომავალში გამოირიცხოს თბილისის მთელ რიგ ქუჩებსა და უბნებში დიდი ხნის წინ წარმოშობილი დანაშუალებრივი შეცდომები, რომლებიც უხეშად არღვევენ დედაქალაქის მწვანე არქიტექტურის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

თბილისის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა მხარდაჭერის შემთხვევაში, მათ განსახილველად წარვუდგენ შესაბამის სამუშაოთა განხორციელების კონკრეტულ სქემა-პროგრამას, რომელიც მომზადებული გვაქვს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების კონსულტაციებით.

ანზორ ბაბუხადია,
ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი.

ირაკლი კობახიძე: ძალიან ცუდია ის, რომ პოლიტიკური მიზნებისთვის სამართლებრივი საქმეების გამოყენება ხშირად ხდება

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით „თავისუფალი დემოკრატების“ იმ განცხადებებს გამოეხმაურა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე ზეწოლას შეეხება.

„კაბელების საქმე არის სასამართლოს მიერ განსახილველი საქმე. სასამართლომ განიხილა ეს საქმე. შესაბამისი გადაწყვეტილებები არის მიღებული. მე შეიძლება მქონდეს ჩემი პოზიცია როგორც იურისტს ამ საქმესთან დაკავშირებით და მაქვს კიდეც ჩემი პოზიცია, მაგრამ ამაზე დღეს არ ვისაუბრებ. ძალიან ცუდია ის, რომ ხშირად ხდება პოლიტიკური მიზნებისთვის სამართლებრივი საქმეების გამოყენება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

„ერთმა სოფლის ინტრიგანმა ადვოკატმა, გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა“

გორის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ოქრუაშვილი ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. ის აბსურდულს უწოდებს იმ ინფორმაციას, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა.

„მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამას წინათ ერთმა სოფლის ადვოკატმა, ინტრიგანმა ნოზაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. 13 სექტემბრიდან ვიმყოფებოდი საავადმყოფოში და ამ ფაქტთან არანაირი შეხება არ მქონია, ისევე როგორც არც ერთ ჩემს წარმომადგენელს მსგავსი ფაქტი არ ჩაუდენია. ჩემი სახელით არავის არ გაუკეთებია მსგავსი რამ. თუ ვინმემ ეს გააკეთა შეგნებულად, რომ ჩვენს სახელს ჩრდილი მიაყენოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ოქრუაშვილმა. მამუკა ნოზაძის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის შტაბის წარმომადგენლებმა ამომრჩევლის მოსყიდვა სცადეს და მათ პროდუქტები გადასცეს.

ოქრუაშვილმა მედიის წარმომადგენლებს ქალაქში გადაღებული ფოტომასალაც წარუდგინა, სადაც ერთ შემთხვევაში ოქრუაშვილის საგიტაციო პლაკატებზე წითელი საღებავია შესხმული, მეორეგან კი მის საარჩევნო პლაკატებზე ზემოდან „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო პლაკატებია გადაკრული.

„ამ პირველ შემთხვევაში ესაა „ნაციონალების“ გაკეთებული. მეორე შემთხვევაში კი შეგიძლიათ, მითხრათ, რა ჰქვია „ქართული ოცნების“ ამ საქციელს? ყოველივე ეს არის იმის ნიშანი, რომ ესენი არჩევნებს აგებენ. ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ფაქტების გასაჩივრებას, არ ვაპირებ, მეც ზემოდან გადავაკრა პლაკატები და ასევე არ ვაპირებ ამ იაფფასიან „ტრიუკებში“ ჩაბმას“, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ჩირიკბამ თანამდებობა დატოვა

ოკუპირებული აფხაზეთის **დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ თანამდებობა დატოვა.** გადადგომის მიზეზად თავად ჩირიკბა ასახელებს შექმნილ ვითარებას, რომლის ფარგლებში მას უფლებამოსილების შესრულება არ შეუძლია.

„ვერ ვხედავ შესაძლებლობას შექმნილ ვითარებაში საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში მუშაობა განვაგრძო. იმედს გამოვთქვამ, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება. გულწრფელ მადლობას ვუხდი აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ისინი საერთაშორისო არენაზე რესპუბლიკის პოზიციის გამყარებისთვის აკეთებენ“, — განაცხადა ჩირიკბამ.

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ იყიდება

ინფორმაციას ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი ადასტურებს. მისი განცხადებით, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ შესაძლოა, ინდუსტრიულმა ჯგუფმა იყიდოს და ყაზახები ქართული ბაზრიდან გავიდნენ.

„შესაძლოა, გაიყიდოს და შესაძლებელია, რომ ჩვენი ბაზრიდან ყაზახები გავიდნენ. თუმცა, ეს არის ორ კერძო სუბიექტს შორის მოლაპარაკებები, ასე რომ, მე ზედმეტი კომენტარისგან თავს შევიკავებდი. რაც ხდება კანონიერად და რაც წაადგება კომპანიას და ბიზნესს, ყოველთვის მივესალმებით ამგვარ კერძო გარიგებებს“, — განაცხადა ილია ელოშვილმა, რომელიც ამ ეტაპზე დამატებითი განმარტებებისგან თავს იკავებს.

◎ რთველი – 2016

რატომ ვერ ამბობს მთავრობა უარს ყურძნის სუბსიდირებაზე?

შემოდგომის მოსვლასთან ერთად კვლავ აქტუალურია ყურძნის ფასისა და სახელმწიფო სუბსიდირების საკითხები. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2016 წლის რთვლის სუბსიდირებისათვის 25 მილიონი ლარი დაიხარჯება. ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობამ ეტაპობრივად უარი უნდა თქვას მევენახეთა სუბსიდირებაზე, თუმცა ჯერ ეს დრო არ დამდგარა.

რატომ ვერ ამბობს მთავრობა უარს მევენახეების დაფინანსებაზე? ამ და სხვა საკითხებზე „მეტრონომი“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს გიორგი სამანიშვილს ესაუბრა.

— რამდენიმე კვირაა, კახეთში რთველი მიმდინარეობს. შეგიძლიათ გვითხრათ ამ დროისთვის რამდენი ტონა ყურძენია გადამუშავებული?

— დღეის მონაცემებით გადამუშავებულია 45 000 ტონამდე. პრინციპში შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიგების პრობლემა ჯერ არ წარმოქმნილა, გარკვეული გამონაკლისის გარდა. კახეთში საკმაოდ სტაბილურად იკრიფება და ბარდება ყურძენი.

— მთელი წლის განმავლობაში ღვინის ეროვნული სააგენტო სტატისტიკას აქვეყნებდა, საიდანაც ვიგებდით, რომ ღვინის ექსპორტი გაზრდილი იყო. რატომ გახდა საჭირო კვლავ სუბსიდია?

— დიახ, 42%-ით იყო ღვინის გაყიდვები გაზრდილი. აქ მნიშვნელოვანია ორ მომენტს მივაქციოთ ყურადღება. პირველი, ექსპორტი გაიზარდა, მაგრამ საშუალო ფასი ერთი ბოთლი ღვინის შემცირდა, თუ არ ვცდები დაახლოებით 25%-ით. ორი წლის სტატისტიკას თუ ავიღებთ, დაახლოებით 60-70 ცენტამდეა შემცირებული ღვინის ფასი. რომ არ ყოფილიყო სუბსიდია, ყურძნის ფასი იქნებოდა გაცილებით ნაკლები. ამიტომ სახელმწიფომ სუბსიდიის გადაწყვეტილება მიიღო იმის გამო, რომ გლეხმა, მწარმოებელმა მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომელსაც დღეს იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა იმის ნახევარი ფასი, რაც დღეს გვაქვს.

— სუბსიდირების პოლიტიკას ეკონომისტები ცალსახად უარყოფითად აფასებენ. მმართველი გუნდის ეკონომიკურ გუნდს გრძელვადიანი გათვლები ძალიან უყვარს. მაგალითად, ტურიზმის განვითარების ათწლიანი გეგმა და ა.შ — შეგიძლიათ, გვითხრათ, რამდენი წელია იმისთვის საჭირო, რომ სახელმწიფომ ყურძნის სუბსიდირება აღარ მოახდინოს და თავად ბაზარმა განსაზღვროს ფასი?

— როგორც აღნიშნეთ, სუბსიდიას ყველა უარყოფითად უყურებს, თუმცა წარმატებული ქვეყნების უმეტესობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სუბსიდირებას ახდენს. მათ შორის ღვინის დარგსაც.

— მაგალითად?

— მაგალითად ევროკავშირი.

— ევროკავშირის რომელი ქვეყნები?

— ევროკავშირის ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქცია სუბსიდირებულია. ევროკავშირის ქვეყნებმა ნელ-ნელა მოახერხეს სუბსიდირების სისტემიდან ექსპორტის ხელშეწყობაზე გადასვლა. ეს მიმართულება ჩვენ არჩეული გვქონდა თავიდანვე. მოგეხსენებათ, ქართული ღვინის ექსპორტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებული გვაქვს. ჩვენ ვცდილობთ, მხოლოდ ერთ რეგიონზე არ ვიყოთ კონცენტრირებული და სხვადასხვა მიმართულებით ვიმუშაოთ. საკმაოდ კარგი შედეგიც გვაქვს. ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება ექსპორტი. ვფიქრობთ, დარგი ძალიან მალე გაჯანსაღდება ისე, რომ სუბსიდირება აღარ დასჭირდება. როგორც გითხარით, სუბსიდირების გარეშე ყურძნის ფასი შესაძლოა ძალიან დაბალი ყოფილიყო.

— მევენახეები აცხადებენ, რომ ღვინის ჩაბარებისას ძირითად პრობლემას ქარხნებთან არსებული რიგები უქმნით. მსგავსი სიტუაცია იყო 2015 წელსაც, როგორც ჩანს, ტენდენცია 2016 წელსაც გრძელდება. რა არის ამის მიზეზი?

— საკმაოდ უცნაური იქნებოდა, რიგები რომ არ იყოს. რიგი არის ყოველთვის იმ ქარხნებთან, სადაც ყურძენი ბარდება. მთავარია, რიგი წინ მიდიოდეს. დიდი ხანია, კახეთის რთველში ჩართული ვარ და რიგები თითქმის სულ იყო. რიგში დგომა პრობლემა არ არის. მთავარია, ყურძენი უპრობლემოდ მუშავდებოდეს. მთელი წელი გავიჭირვეთ და მოსავალი მოვიყვანეთ და ახლა რამდენიმე საათიც გავიჭირვებთ და რიგში ჩავდგებით.

— ბატონო გიორგი, მევენახეები რამდენიმე საათზე არ საუბრობენ. ისინი ამბობენ, რომ დღეების განმავლობაში უწევთ რიგში დგომა...

— ჩემი აზრით, ცოტას აზვიადებენ. რიგი იმას ნიშნავს, რომ კარგი მოსავალია და რთველი გახურდა!

მარიამ ვარადაშვილი

◎ ბიორაგი – სასწაული

რაც სოფელს წელში გამართავს

უნდა მოგახსენოთ არასასიამოვნო ფაქტის შესახებ: დიდუბეში, მემამულეთა კავშირის მაღაზიაში, ვიკითხე პრეპარატი ბიორაგი. აღმოჩნდა, რომ პრეპარატი იქ არ იყიდება. მაგრამ მითხრეს, რომ აქვთ უკეთესი შედეგის მქონე რუსული წარმოშობის პრეპარატები „ბიოჰუმუსი“ და „გიგროგუმატი“.

ამ ორი პრეპარატის გარდა, მე უცხოეთიდან ჩამოტანილი მქონდა „ბაიკალ-მე-1“ და იაპონური „კუსეი-1“ .

წელს ზემოხსენებული პრეპარატები ვაზიანში გამოვიყენე სიმინდზე, ლობიოზე, გოგრაზე, მსხალზე, ხახვზე, ნიორზე, კიტრზე, პომიდორზე, ყვავილზე, სოკოზე და საქონლის საკვებ კულტურებზე.

ყველაზე ძლიერი ეფექტი მომცა ბიორაგმა. განსხვავება იყო როგორც ცა და დედამიწა. ვერც ერთი გამოცდილი პრეპარატი ახლოსაც ვერ მივა ბიორაგთან.

ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პრეპარატი ბიორაგი თავისი აქტიურობით გაცილებით აღემატება ყველა ზემოჩამოთვლილ პრეპარატს როგორც მოსავლიანობით, ისე ზრდის სიჩქარით, მავნებლებისადმი გამძლეობით და, რაც მთავარია, გემოვნებითი თვისებებით.

ზემოჩამოთვლილი სოფლის მეურნეობის კულტურების გარდა, ბიორაგი არაჩვეულებრივ შედეგებს იძლევა საქონლის წველადობის მატებაში, საქონლის, ღორის, ფრინველის, კურდღლის, თევზის წონითს ზრდაში. დიდად დადებითს გავლენას ახდენს ფრინველის კვერცხების მაჩვენებელზეც.

საოცრებას ახდენს ბიორაგი თითქმის გამხმარი (70 პროცენტი) ვაზისა და სხვა ხეხილოვანი კულტურების აღდგენაზე, ანუ, პირდაპირი გაგებით, აცოცხლებს და უმატებს მოსავლიანობასაც.

ჩემი გაოცება იმან გამოიწვია, ბატონებო, რომ რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში, სადაც მე მიხდებოდა მუშაობა, პრეპარატ ბიორაგს დიდი პატივისცემით აღნიშნავდნენ და სხვებსაც (ახლობლებს) ურჩევდნენ მის გამოყენებას. აი ობიექტურობის მაგალითი. ჩვენთან კი რა ხდება?

თავდაპირველად ბიორაგი გამოვიყენე აფხაზეთში, საიდანაც ვარ წარმოშობით, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ლეკუხანაში, საბერიოში... სადაც ჩემი ახლობლები — აფხაზები და ქართველები დღესაც იყენებენ ბიორაგს და იღებენ სიმინდის უხვ მოსავალს, რითაც ძალიან კმაყოფილები და მადლიერი არიან.

მე ვთვლი, რომ აფხაზების და ქართველების ურთიერთობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა არის ქართველი მეცნიერების გამოგონების გამოყენება აფხაზეთში. აფხაზებიც კი თავიანთ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და, შესაბამისად, მადლიერებიც არიან ბიორაგის შედეგით, რისი მომსწრეც მე გახლავართ. სამწუხაროდ, ამა თუ იმ მიზეზების გამო პიროვნებებს ვერ დავასახელებ.

დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ბიორაგი არის სოფლის მეურნეობის შედევრი, გლეხკაცთა შველა და სოფლის მეურნეობის კულტურების დოვლათის გარანტი, ხალხის დასაქმების კარგი საშუალება. რაც დღეს ჰაერივით სჭირდება საქართველოს.

როგორც გავიგე, სხვა ქალაქებში (აგრეთვე თბილისშიც) იყიდება ფალსიფიცირებული ბიორაგი. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთ მივმართავ, იყავით ფრთხილად ბიორაგის შეძენის დროს. იგი შეიძინეთ ფირმა აგროინვესტში, სადაც ბიორაგის გარანტია უზრუნველყოფილია, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირზე №27. მოსახლეობას ვთხოვ, არ წამოეგოს პროვოკაციას, რადგან ჩვენი მიზანია, შვება მივცეთ გლეხებს და არა თაღლითებს.

მზად ვარ, შეჯიბრში გამოვიწვიო ყველა დაინტერესებული პირი და დავუმტკიცო (პესიმისტებს, ზარმაცებს და ბიორაგის არაკეთილისმსურველებს) ბიორაგის უდიდესი უპირატესობა მსოფლიოში არსებულ ყველა პრეპარატთან შედარებით.

მე ვირჩევ ბიორაგს!

გენადი ცაავა,
საველე აგრონომი.

◎ ალოობა

ხორბალი იაფდება

ხორბლის მოსავალი წელს მაქსიმუმზეა. **ექსპორტიორ ქვეყნებს მარცვლეულის გაყიდვა უჭირთ. შესაბამისად, საერთაშორისო ბირჟებზე პროდუქცია გაიაფებულია. იგივეს მოლოდინი აქვთ საქართველოშიც.**

ეგვიპტემ რუსეთიდან ხორბლის იმპორტი შეაჩერა, ეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის მთლიან მოხმარებაში რუსული ხორბლის წილი 65% შეადგენდა. რუსული ხორბლისათვის ეგვიპტე ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელი იყო, რადგანაც გასულ სეზონზე რუსეთმა საკუთარი საექსპორტო ხორბლის 1/4 სწორედ ეგვიპტეში გაყიდა. ამ ფონზე სავარაუდოა, რომ რუსეთს ხორბლის ფასის გაიაფება მოუწიოს და საქართველომ რუსული მარცვლეული უფრო დაბალ ფასად შეისყიდოს.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა აცხადებს, რომ ეგვიპტის მიერ რუსულ ხორბალზე უარის თქმა და რუსული ხორბლის შესაძლო გაიაფება, მსოფლიო ბაზარსაც დაეტყობა.

„სამაგიეროდ, რუსეთში შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ფასები დაეცემა. ეს იმ ფონზე, როდესაც ხორბალი ისედაც ძალიან გაიაფებულია. შესაბამისად, თუკი ხორბალი გაიაფდება, ეს იქნება ჩვენთვის მომგებიანი — იაფად ნაყიდი ხორბლის ფონზე გაიაფდება ფქვილიც.

დღეს ფქვილის ფასი ისტორიულ მინიმუმს უახლოვდება, ერთი ტომარა 33 ლარია. ფქვილი ყველაზე იაფი 2007 წელს ღირდა, როდესაც 1 ტომარა ფქვილი 31 ლარად იყიდებოდა“, — აცხადებს ლევან სილაგავა.

ამ დროისათვის ფოთის პორტში შემოტანილი 1 ტონა ხორბლის ფასი 185 დოლარია. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ თუკი რუსული ხორბლის გაიაფება დაიწყება, დაახლოებით, 5-10 დოლარი კიდევ მოაკლდება.

წელს რუსეთში ტონა ხორბალი 160 დოლარი ღირს, რაც ძალიან დაბალი ფასია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთში 130 მილიონ ტონამდე მოსავალს ელოდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ 30 მილიონზე მეტი ღირებულების ხორბალი ქვეყნის გარეთ გაიტანონ.

ხორბლის საერთაშორისო საბჭოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში ხორბლის წარმოება 2016-17 წლების სეზონზე 20 მილიონი ტონით გაიზრდება და 2046 მილიონ ტონას მიაღწევს. ანგარიშის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2026 მილიონი ტონა იყო. ხორბლის გადაჭარბებული მოსავლის ფონზე ექსპერტები მსოფლიო ბაზარზე ხორბლის კიდევ უფრო გაიაფებას პროგნოზირებენ.

უხვმოსავლიანობის გამო მსოფლიოში ხორბლის ფასი 10-წლიან მინიმუმზეა. დღეს საერთაშორისო ბირჟებზე ერთი ბუშელი, საშუალოდ, 4 დოლარი ღირს. ამასთან, ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაახლოებით 20 დოლარით შემცირდა საქართველოში იმპორტირებული ხორბლის ფასიც.

ბექა დანელია

აკეთებს იმას, რასაც გული კარნახობს...

ბატონ ვახტანგ წივწივაძეს

ბატონო ვახტანგ,
სამი უმთავრესი რამაა ორჯულში — რწმენა, სამართალი და წყალობა.

დღეს, როცა აბსურდის თეატრს დაემსგავსა ჩვენი სინამდვილე, ძნელია, ჰპოვო სამართალი, შეინარჩუნო რწმენა — სულიერი და მორალური ფასეულობანი, წყალობა ჰყო და განიკითხო ვინმე.

ამ ორიათასი წლის შემდეგ მაცხოვარი რომ გამოგვეცხადოს, ვინძლო თავად მასაც გაუჭირდეს გაიმეოროს ოდესღაც მისგანვე თქმული სიტყვები, — მოდით, მამის ჩემის მიერ კურთხეულნო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, განმზადებული თქვენთვის ქვეყნის დასაბამიდანო, — მერე კი, ამბობს მხსნელი, — მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავ და შემიფარეთ, შიშველი — შემმოსეთ, სნეულს — მომხედეთო.

არა!.. ვერ იტყვის მაცხოვარი ამ სიტყვებს! დღეს პოლარულად შეიცვალა ადამიანთა ზნეობრივი ფასეულობები. დღეს მშიერს პური რომ მიაწოდო, შეიძლება იმ ხელზე გიკბინოს, რომლითაც ლუკმას აწვდი; მწყურვალს წყალი რომ მიაწოდო, იმ ჭიქაში ჩაგიფურთხებს, საიდანაც წყალი ასვი; ხიზანი რომ შეიფარო, თავად გაქცევს ხიზნად საკუთარ ჭერქვეშ; ვისაც ჩააცმევ, სწორედ მისგანვე განიძარცვები.

ყოვლად ზღვარს გადასული უბედურებაც დაგვემართა, — სულში ჩაგვისახლდა ერთმანეთის სიძულვილი, ბოროტება და გულგრილობა, ჩაგვიკვდა სიყვარულის გრძნობა. დიახ!.. გულგრილობა, ბოროტება და სიძულვილი გვჭირს...

და... ამ დროს, შენ, ყურადაც არ იღე ზღვარს გადასული უზნეობა, აბსურდულობა და არაადამიანური თვისებები. მტკიცედ დადექი მაღალ ზნეობრივ ფასეულობათა დაცვის გზაზე და აკეთე ის, რასაც გული გკარნახობდა და სისხლი გიყიოდა, — მშიერს — აწვდიდი პურს, მწყურვალს — ასმევდი წყალს, შიშველს — აცმევდი სამოსელს. სიკეთე, დიდი სიკეთე და გულითადი სიყვარული შენი ხალხისა და მამულისადმი იყო და არის შენი კრედო, შენი მიზანი და შენი მომავალი, დაწვრილმანება იქნება იმ სიკეთეთა ნუსხის ჩამოთვლა (რომელიც საკმაოდ გრძელიც გამოვა), რაც შენ ხალხის და მამულის საკეთილდღეოდ გიკეთებია, და თუ ამას გაგულბოროტებული და გაუმადურებული ხალხი ვერ ხედავს, იგი ყველაზე მეტად უფალმა იცის.

მჯერა, კარგად გემახსოვრებათ ჩემო ქრისტეს სისხლისმიერო ძმაო, პირველი შებედვა და შეკამათება კაცისა — აბრამისა — უფალთან, როცა საქმე ეხებოდა მკვდარი ზღვის ირგვლივ მდებარე ხუთი ქალაქიდან ერთის — სოდომის დაქცევაზე. აბრამი შეეწინააღმდეგა ღმერთს (!) — ნუთუ, ერთნაირად დასჯი ცოდვიანსა და უცოდველსო. აბრამი ეუბნება უფალს: ორმოცდაათი მართალი კაცი რომ აღმოჩნდეს სოდომში, დაანგრევ ქალაქსო? არაო, — პასუხობს ღმერთი და...

ბოლოს, ღმერთი მზადაა შეუნდოს ქალაქს, თუკი ათი ადამიანი მაინც აღმოჩნდება მართალი...

ბატონო ვახტანგ, მე ორთოდოქსი ადამიანი არა ვარ, მაგრამ გულწრფელად მწამს, არამც თუ ათი, დღევანდელ გაუბედურებულ ქვეყანაში თქვენნაირი ხუთიც რომ არსებობდეს ამქვეყნად, იქ სადაც ეს აუცილებელია, ღმერთისგან აღარ გავიწირებოდით.

თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, რომელიც უშურველად თესდით, თესავთ და არასოდეს დამალვიხართ საკუთარ სისხლსა და ხორცს. ამავდროულად დავძენ, რომ თქვენ ხართ სულით პოეტი და სისხლით ლომკაცი. ამიტომ, თქვენ დიდ ხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოთ.

ყოველივე ამის შემდეგ, მინდოდა, გვერდი ამევლო და ამ წერილში არ მომეხსენიებინა ის, მეტად დიდი და შეუფასებელი სიკეთე, რომელიც თქვენ (აქ კი მინდა თქვენობით მოგიხსენიოთ) მე და ჩემს ობლებს გაგვიკეთეთ, რომ ვინმეს არ ეთქვა, — ამ სიკეთის ქმნისთვის წერს მადლობის წერილსო, მაგრამ დე, თქვან მავანმა და მავანმა რაც მოადგებათ ენაზე, მე კი მინდა, ქვეყანას ვამცნო, რომ თქვენ მომეცით საშუალება ბოლომდე გამეცა სითბო და სიკეთე, რომლის უთქმელობითაც სიკვდილი, როგორც გაუფასურებულ ღირებულებას, ჩამომაწერდა და არარაობაში ჩანმთქავდა... ახლა კი, ყოველ ცისმარე, რა ხასიათზეც უნდა ვიყო, ქუჩაში იმედიანი, ღიმილიანი და ნათელფენილი სახით გავდივარ. ეს მეორე სიცოცხლეა ჩემი — თქვენი წყალობით ბატონო ვახტანგ.

ასეთი სიკეთე რამდენი გიკეთებიათ? — ეს მხოლოდ უფალმა და იმათ იციან, ვისაც არგუნეთ ისეთივე სიცოცხლე და ბედნიერება, როგორიც მე.

ჭეშმარიტად: განთიადივით ამობრწყინდება შენი საქმენი და უფლის დიდებაც აგედევნება კვლადაკვალ!..

ერთს ვინატრებდი მხოლოდ: მომავალში მაინც მრავალი ჰყოლებოდეს საქართველოს თქვენნაირი შვილი!..

უღრმესი პატივისცემით
მურად ჭოლოკავა,
პოეტი, ილია ჭავჭავაძის,
ვაჟა-ფშაველას,
გალაკტიონ ტაბიძისა და
ლადო ასათიანის
პრემიების ლაურეატი,
ორგზის ღირსების
ორდენოსანი.

◎ დედაქალაქი

საშემოდგომო სიახლეთა სეზონი

ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში, თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს მეტი გამოცოცხლება დაეტყო. ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში რამდენიმე ქუჩის (კერძოდ, აღმაშენებლის პროსპექტის აღმოსავლეთ მონაკვეთის, ჯავახიშვილისა და წინამძღვრიშვილის) აღდგენა-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამის გარდა, როგორც ჩანს, დედაქალაქში ახლო მომავალში ახალი კომფორტული სამგზავრო ავტობუსის შემოყვანასთან დაკავშირებით, გაჩერებებზე დაიწყო ძველი ტიპის ერთობ მოუხერხებელი მოსაცდელების შეცვლა. პირველი მათგანი უკვე გამოჩნდა თავისუფლების მოედანზე, რაც, უდავოდ, კარგი საქმეა, თუმცა კი, აქვე აუცილებლად გვინდა ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციაში გამოთქმული შენიშვნის გამეორება. საინფორმაციო ტაბლოები ავტობუსების გაჩერებაზე, უაღრესად მოსახერხებელია ყველა ასაკისა და, ასე ვთქვათ, „ტიპის“ მგზავრისთვის, თუმცა კი მათ ყველგან დაყენებას, განსაკუთრებით კი მეტროს სადგურებთან ხალხმრავალ ადგილებში (ვთქვათ, „თავისუფლებისა“ და „მარჯანიშვილის“ მოედნებზე) საშველი არა და არ დაადგა. არადა, ამ ხარვეზთან დაკავშირებით საყვედურებს მგზავრები როგორც გაჩერებებზე გამოთქვამენ, ასევე სარედაქციო ფოსტაშიც თუ სატელეფონო ზარებით აღნიშნავენ.



კიდევ ერთი „საშემოდგომო სიახლე“ თბილისში ახალი სანაგვე ყუთებია, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა. ესეც ერთობ საგულისხმო სიურპრიზია, რადგან ახალი ყუთები უფრო მსუბუქია, ამდენად, მომსახურების პროცესშიც გაცილებით მარტივია და, როგორც ჩანს, უფრო გამძლეც უნდა იყოს.

გაზეთის მკითხველებს, ცხადია, სხვა სიახლეების შესახებაც მოვახსენებთ, ოღონდ იყოს და...

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ახალი სკვერი გლდანელებისთვის

კიდევ ერთი ახალი სკვერი მოეწყო გლდანის რაიონში. **გლდანის რაიონის I მ/რ-ის მე-12 და 23-ე კორპუსების მიმდებარედ, სამუშაოების ფარგლებში, მოეწყო ბორდიურები, დაიგო დეკორატიული ფილები, დაიდგა სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყო საბავშვო საქანელები, დამონტაჟდა გარე განათების ბოძები, მოეწყო კაუჩუკის ხელოვნური საფარი და ლითონის დეკორატიული ღობე. სკვერი გლდანის რაიონის გამგებელმა დიმიტრი ორმოცაძემ დაათვალიერა და მოსახლეობასაც შეხვდა.**

მერიის ცნობით, V მ/რ-ის მე-10 და VII მ/რ-ის მე-10 კორპუსების მიმდებარედ არსებულ სკვერებთან ერთად ეს უკვე მესამე სკვერია, რომლის მოწყობაც გლდანში ბოლო პერიოდში დასრულდა. გლდანის გამგეობის ბიუჯეტიდან მათი რეაბილიტაციისთვის, ჯამში, 143 730.41 ლარი გამოიყო.

2016 წლის მონაცემებით, გლდანის რაიონში 9 ახალი სკვერი მოეწყო, რაშიც 400 377.48 ლარი დაიხარჯა.

წლის ბოლომდე კიდევ ორ ახალ მისამართზე იგეგმება სკვერის რეაბილიტაცია. სამუშაოების ღირებულება, დაახლოებით, 210 076 ლარი იქნება.

ცაგერში სპორტის სასახლე შენდება

მალე ცაგერს ახალი, **მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი და რეაბილიტირებული საფეხბურთო სტადიონი შეემატება. ცაგერის ფეხბურთის მოედნის ზომა**

შეესაბამება უეფას მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს, რაც საშუალებას იძლევა, სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ აქ საერთაშორისო ეგიდით გასამართი მატჩებიც ჩატარდეს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში, კომპლექსი ასევე უმასპინძლებს საქართველოს შიდა პირველობების მატჩებს.

სტადიონის რეაბილიტაცია ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება, ხოლო მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით შენდება.

ცაგერსა და ლენტეხს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან ერთად ესტუმრა და რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას გაეცნო და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად რეგიონში სპორტის განვითარების სამომავლო გეგმები დასახა.

მასობრივი სპორტის განვითარების ფარგლებში ტარიელ ხეჩიკაშვილმა ცაგერსა და ლენტეხში სპორტსმენებს სპორტული ინვენტარი გადასცა: რაგბის, ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ფორმები და ბურთები, მოკრივეთა აღჭურვილობა, ძიუდოს და ქართული ჭიდაობის საჭიდაო ფორმები. ხეჩიკაშვილმა მწვრთნელების და სპორტსმენების მხრიდან ცაგერში არსებული პრობლემები მოისმინა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა. აღსანიშნავია, რომ 1 სექტემბრიდან ცაგერის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების სპორტის მასწავლებლები და მწვრთნელები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან ხელფასზე დანამატის სახით 50-70 ლარს იღებენ.

საშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ყოველკვირეული ფოტორეპორტაჟის რუბრიკაში ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ამსახველ ფოტომასალას გთავაზობთ.**

აღნიშნული გზა ერთმანეთთან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას აკავშირებს. ამ გზით ხორციელდება საერთაშორისო მიმოსვლა და საზრანზიტო გადაზიდვები. ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის 2 კილომეტრიანი მონაკვეთის (კმ61-კმ62) რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს: გზის საფუძვლის მოწყობას, ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, ბეტონის პარაპეტების, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნის, ტროტუარების, გაბიონების ხელოვნური ნაგებობების საორიენტაციო ბოძკინტებისა და ლითონის ზღუდარების მოწყობას. ასევე, გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოებს. სარეაბილიტაციო მონაკვეთზე, ამ ეტაპზე, ბორდიურების, ტროტუარების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებისა და ადგილობრივ გზებთან მიერთებების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

◎ კოლეგები

მესამე და სამართალი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას მისი დამფუძნებლის, ამჟამად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილისა და ჟურნალ „ათიანის“ რედაქტორის გიორგი გორგოძის შემდეგ მესამე თავკაცი ჰყავს გაზეთებში „დრონში“, „კაპიტალსა“ და „24 საათში“ დაფრთიანებულ-დაღვინებული ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის მიხეილ აბაიშვილის სახით, რომელმაც გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენის“ საპრესკონფერენციო დარბაზში გამართულ რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე ხმათა სოლიდური უპირატესობით — 56:36 დაამარცხა ერთადერთი ღირსეული კონკურენტი, ძველი სარბიელელი, დღესდღეობით ფუტსალის ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი დარჯანია.

კალმოსანთა ჰამქრის აღნიშნული ფორუმი ერთი წლის წინათ იყო დანიშნული, მაგრამ მიზეზთა გამო წინამძღოლის არჩევა მხოლოდ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე მოხერხდა.

თავდაპირველად რეგისტრაცია 101 დელეგატს უნდა გაევლო, თუმცა, ყველამ ვერ შეძლო კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად „ბრძოლის ველზე“ გამოცხადება და საბოლოოდ არჩევანი 94-მა მათგანმა გააკეთა (2 ბიულეტენი ბათილად ცნეს).

სხვათა შორის, საარჩევნო მარათონში ბოლომდე იყვნენ ჩართულნი იტალიაში მოღვაწე მასმედიის ახალგაზრდა წარმომადგენელი სალომე ხარატიშვილი, ყვარელ-ლაგოდეხში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი პოპულარული სპორტული ტელეპროექტების ავტორი ლაშა დვალიშვილი და სეოკ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ გეგელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს, ყველაფერი ორთა დუელში გადაწყდა.

დელეგატებმა სოსო კოტორეიშვილის წინადადებით წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ქართველ ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის ნათელ ხსოვნას, შემდეგ შესაბამისი პრემიებით დააჯილდოვეს პროფესიული ნომინაციების შარშანდელი გამარჯვებულნი და დასკვნით აკორდზე გადავიდნენ.

უნდა ითქვას, რომ, თავისთავად, საინტერესოდ ორივე კანდიდატის შემოთავაზებული პროგრამა გამოიყურებოდა, მიხეილ აბაიშვილის წარმატება კი, მნიშვნელოვანწილად, სპონსორებისა და ინვესტიციების მოზიდვის მისეულმა პროექტმა განაპირობა.

გზა დაელოცოს სსჟა-ს მესამე პრეზიდენტსა და მის გუნდს, რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ.

ბიძინა ბარათაშვილი, თენგიზ პაჭკორია — ვიცე-პრეზიდენტები, ზურაბ თალაკვაძე — გენერალური მდივანი, ზვიად შათირიშვილი — ხაზინადარი.

ალმასკომი

თენგიზ გაჩეჩილაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი, თამარ ბალავაძე, დემიკო ლოლაძე, თემურ ჯაფარიძე, ლევან სალუქვაძე, ელენე ბილიხოძე, ვასილ ბალახაძე.

გია პლატონიშვილი

◎ ლეგიონერი

დვალიშვილი „ნოვოსიბირსკთან“ ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება

25 წლის ქართველი კალათბურთელი აკაკი დვალიშვილი ახალ კლუბ „ნოვოსიბირსკთან“ ერთად მომავალი სეზონისთვის ემზადება.

რუსული კლუბი შეკრებაზე მონტენეგროში გახლდათ და ადგილობრივ გუნდებთან 5 საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა მონაწილეობა სამ შეხვედრაში მიიღო.

დვალიშვილმა თავი პირველივე მატჩში გამოიჩინა, რომელიც „ნოვოსიბირსკმა“ „მორნართან“ 60:71 წააგო, აკაკიმ კი 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

ქართველმა კალათბურთელმა ითამაშა „სუტიესკასთან“ მოგებულ ორივე (75:68, 77:67) ბრძოლაშიც. პირველ შეხვედრაში აკაკიმ 6 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, მეორეში კი მისი მონაგარი 6 ქულა იყო.

შეგახსენებთ, რომ "„ნოვოსიბირსკი“ დამდეგ სეზონში რუსეთის სუპერლიგაში ითამაშებს, პირველ მატჩს კი 5 ოქტომბერს სურგუტის „უნივერსიტეტ-იუგრას“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ვალენტინა, ფეხბურთი და გადახრილი კოშკი

ამ ბოლო დროს ფეხბურთით იმდენი პორნოვარსკვლავი დაინტერესდა, რომ კაცი ვერ გაერკვევა, რით მოიხიბლნენ ეს მრავლისმნახველი და საკაცობრიო პრობლემებზე დარდებითა და ფიქრებით გულმკერდდამძიმებული დიდებული და თბილი ქალბატონები.



იტალიური ფესვების სექსბომბა ვალენტინა ნაპი ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს და იქაურობას იკლებს ყველაფრით, რაც შეუძლია და რაც არ შეუძლია, მაგრამ, რაკი ასაკმა და წლებმა კარზე მიუკაკუნა, ქალბატონ ნაპის სიბერის იტალიაში გატარება სურს და საამისოდ ძველი და ლეგენდარული პატარა ქალაქი პიზა შეურჩევია.

ეს ისეთი ქალია, პიზის გადახრილი კოშკი ნამდვილად მოეწონებოდა, მაგრამ თვალი ასევე ქალაქ პიზის გუნდისთვისაც დაუდგამს და საფეხბურთო კლუბ „პიზაში“ ინვესტიციის ჩადებასაც აპირებს. აბა, კარგი ჟამი დასდგომიათ პიზელებს, დიდი ვალენტინა ფესვებს უბრუნდება, თორემ კოშკები ცხოვრებაშიც ბევრი უნახავს!..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

ბუნდესლიგის სტარტი, შესაძლოა, აზიაში ვიხილოთ

გერმანიის ჩემპიონატის სასტარტო მატჩი მომავალში, შესაძლოა, აზიის რომელიმე ქვეყანაში გაიმართოს. როგორც „ადიდასის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჰერბერტ ჰაინერმა განაცხადა, მსგავსი პრაქტიკა უკვე დანერგილია.

„რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. მსგავსი რამ ამერიკის შეერთებულ შტატებში გვინახავს, როდესაც სხვადასხვა სპორტის სახეობის სტარტი ამ ქვეყანაში გამართულა და რატომაც არა?“ — განუცხადა „Bild“-ს ჰაინერმა.

„ადიდასმა“ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2022 წლამდე გააფორმა. ჰაინერი აღნიშნავს, რომ „ადიდასის“ ასეთი იდეები ხალხს უფრო მეტად გაახალისებს.

გიორგი ზოთაძე

◎ პროექტი

ენდი მარინოსი: „სუპერ რაგბი“ ევროპის ხარჯზე გაფართოვდება“

„ტურნირის ევროპის ხარჯზე გაფართოება რეალობაა“ - ოფიციალურად დაადასტურა SANZAAR-ის თავკაცმა ენდი მარინოსმა, რომელიც „სუპერ რაგბის“ ორგანიზებაზეა პასუხისმგებელი.

რა თქმა უნდა, ის ჯერ ვერ აკონკრეტებს ვადებს, როდის მოხდება ეს, თუმცა, კომერციული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამას გარდაუვალ ფაქტად მიიჩნევს.

„ინგლისური და ფრანგული კლუბების ფინანსები სამხრეთ ნახევარსფეროს რაგბისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვხედავთ, რა რაოდენობით ნიჭიერი მორაგბეები მიდიან ავსტრალიიდან და სამხრეთ აფრიკიდან ევროპაში. ეს ტენდენცია უნდა შევაჩეროთ. „სუპერ რაგბის“ განვითარებისთვის აუცილებელია, რომ გაიზარდოს არა მხოლოდ კომერციული მოგება, არამედ სპორტული მხარეც. ამისათვის ჩვენ ახალი ბაზრები გვჭირდება. ტურნირის ევროპის ხარჯზე გაფართოება რეალობაა. ეს მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ შემოსავლები, ხოლო „სუპერ რაგბის“ ფრანშიზები საუკეთესო მოთამაშეებს შეინარჩუნებენ. ჯერჯერობით საკითხი ადრეული განხილვის სტადიაზეა, თუმცა, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში ევროპული რაგბის კავშირებთან მოლაპარაკებებში ჩავერთოთ“ — ამბობს მარინოსი.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ „სუპერ რაგბიში“ ჩართვის სურვილი ესპანეთმა გამოთქვა.

კოგა კოგანიძე

◎ წარდგინება

უკვდავებაში გარდასულნი

დიდი ხელოვანი დიდ ხელოვანზე

წლეულს დიდი ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილე. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტის ბატონ ბონდო კობაძის ინიციატივით თბილისსა და დუშეთში, დიდი მხატვრის მშობლიურ კუთხეში, საიუბილეო დღეებს უამრავი ადამიანი სტუმრობდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი გაზეთიც გამოეხმაურა და რამდენიმე ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა, როგორც თბილისში, მთაწმინდის პანთეონში მოწყობილი ღონისძიებიდან, ასევე დუშეთში გამართული საიუბილეო საღამოდანაც.



სულ, რამდენიმე დღის წინათ ბატონმა ბონდო კობაძემ, რომელიც საზოგადოებას შეპირდა, რომ საიუბილეო დღეებში გამოიცემოდა მხატვრის ალბომი, პირობა შეასრულა და მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ქართველ საზოგადოებას წარუდგინა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული შესანიშნავი ალბომი **„ლადო გუდიაშვილი – 120“**. ალბომის რედაქტორი გახლავთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბატონი **გუბაზ მეგრელიძე**, მხატვარ-შემდგენლები საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ბატონი **გიორგი ავსაჯანიშვილი** და საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მწერალი **რეზო (ემელიანე) ადამია**. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პროექტის ავტორი და საიუბილეო კრებულის შემდგენელი გახლავთ ბატონი ბონდო კობაძე.

კრებულის ფართო საზოგადოებისთვის წარდგინება ეროვნულ ბიბლიოთეკაში დღეს, 22 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდი ქართველი მოქანდაკის, რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, მსოფლიო დონის ხელოვანის მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო ეს საზეიმო საღამო-წარდგინება კრებულის შემდგენელთა თხოვნითა და სურვილით გადაიდო.

ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, დიდი ხელოვანის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემელი და მისი ნიჭის დამფასებელი დიდი სიხარულით შეხვდა უფროსი მეგობრის იუბილესა და ამ შესანიშნავი კრებულის გამოცემის იდეას. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მიგვეწოდებინა ამ კრებულში დასტამბული ბატონი მერაბ ბერძენიშვილის შესანიშნავი წერილი დიდ ხელოვანზე.

ლადო გუდიაშვილი



ბატონი ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინოა ადამიანის ესთეტიური კრედო, რომელსაც მხატვარი პლასტიკის ენით წარმოაჩენს; ეს კი დიდ ხელოვანთა ხვედრია! ბატონი ლადოს მხატვრული ხედვა ღრმად სპეციფიკურია, მრავალმხრივია; მის დაუშრეტელ ფანტაზიას ზღაპრული სამყაროდან რეალობაში გადავყავართ და ხან პირიქით – რეალურიდან მითიურში. ბატონმა ლადომ ჩაგვახედა მშვენიერების საკუთარ სარკეში, რომლის უკან მხატვრის გულისცემა ისმის. მაშინ ზოგიერთებისთვის ეს ხმა მიუწვდომელი იყო. დღეს კი ამის გახსენებაც თავად გვიძგერებს გულს. ბატონმა ლადომ ყველა განსაცდელს გაუძლო, რთული, დაბრკოლებებით აღსავსე გზით იარა და სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, განსაკუთრებით ჩემი თაობის ახალგაზრდობისთვის, რომლის მიმართ ყოველთვის მზად იყო გვერდში დგომისთვის. იგი მოვალეობად მიიჩნევდა ახალგაზრდობისადმი მზრუნველობას. ეს ზრუნვა და სიყვარული ახალგაზრდობამ ჭეშმარიტად დაუფასა ბატონ ლადოს. ნათლად მახსოვს ის დღე, როცა მისი ნამუშევრები მზად იყო დამთვალიერებელთათვის წარსადგენად, გახსნის ნაცვლად მთავრობამ გამოფენა აკრძალა. ახალგაზრდობამ გალერეის კარი შეამტვრია, რის შემდეგაც იძულებულნი გახდნენ, გამოფენა გახსნილად გამოაცხადებინათ... დღეს მხატვარს პატივითა და სიყვარულით ვიხსენებთ, გმირის წოდებაც მიენიჭა, რამაც მისი ბიოგრაფია ერთობ საინტერესო გახადა. ბატონი ლადოს შემოქმედებას მისივე ნახატებში მომზირალი შვლის ნუკრის მსგავსი სიწმინდე ახლავს, ატყვია დიდი, უზომო სიყვარული თავისი პროფესიისა და საქართველოსი, რის გამოც მისი ხელოვნების პატივსმცემლები მადლიერების გრძნობით თავს ვხრით ამ დიდი ხელოვანის წინაშე. მადლიერი ვართ მისი ქართველი ხალხისათვის საამაყო ხელოვნების შექმნისთვის. ასევე მადლობა ეთქმის მის უახლოეს მეგობრებს, მეუღლეს, ქალბატონ ნინოს, იმ დიდი ხელშეწყობისათვის და დიდი სიყვარულისთვის, რომელიც მან ჭეშმარიტი მხატვრის – ლადო გულიაშვილის გვერდში დგომით გამოავლინა.



მერაბ ბერძენიშვილი

აღვასრულოთ დიდი ხელოვანის სანუკვარი ოცნება!

საზოგადოების მოთხოვნა ბატონ დავით ნარმანიას

2012 წლის 4 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რეპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ქართველი ვეტერანი გენერლების მიმართვა „ეს საზოგადოების მოთხოვნაა!“, რომელშიც გამოთქმული იყო აღშფოთება დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლის გადაადგილების გამო. მკრეხელობა ხელისუფლებამ მზაკვრულად, ღამით ჩაიდინა, ძეგლი გადაიტანა სრულიად შეუფერებელ, მიუდგომელ ადგილას, თითქმის ქალაქგარეთ.

მიმართვას ხელს აწერდა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების 13 ვეტერანი გენერალი, რომლებიც მხარს უჭერდნენ საზოგადოების მოთხოვნას ძეგლის საწყის ადგილზე დაბრუნების შესახებ.

ქ. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ვეტერანებს აღგვითქვა, რომ საზოგადოების მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ გავიდა თითქმის 2 წელი და ჯერჯერობით პირობა შეუსრულებელი რჩება.

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს და იმედს გამოვთქვამთ, რომ პირობა ამჯერად მაინც შესრულდება.

ეს იქნება დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სანუკვარი ოცნების აღსრულება და საზოგადოების ვალის მოხდა დიდი ხელოვანის ხსოვნის წინაშე, რომელიც თავის დროზე ვერ დავიცავით ვანდალიზმისაგან.

გურამ გვეტაძე, დემურ მიქაძე, ჯემალ გახოკიძე, ომარ ლეკვეიშვილი, როგინზონ თუშურაშვილი, კოგა კოგალაძე, ჯუმბერ სურმავა, შენგელი ფიცხელაური, თემურ მურღულია.

სანთელი

მარიამ ლორთქიფანიძე უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი პიროვნება და ხელოვანი

მერაბ ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებასა და სამძიმარს გამოთქვამს ქართველი კაცის მაგალითისა და თავისი ერის საამაყო შვილის, ჩოხოსანთა საზოგადოების უხუცესი ჩოხოსნის, ბატონ

მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალების გამო.

იგი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სიამაყე, არამედ მსოფლიო გენიაც გახლდათ, რომელსაც ასევე მსოფლიოში ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ და ფილოსოფოსმა მოისეი კიგანმა ქართველი მიქელანჯელო უწოდა.

ბატონ მერაბ ბერძენიშვილს საზოგადოება იცნობდა არა მხოლოდ როგორც თავისი საქმის დიდოსტატს, არამედ, უწინარესად, როგორც ქართული გენის, მამულიშვილობის, სულიერების, რაინდობის გამორჩეულ ცოცხალ მაგალითსა და სიმბოლს.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, დიდო ეროვნულო ქართველო კაცო და მარადიული სასუფეველი მიანიჭოს შენს ნათელ სულს უფალმა.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების უხუცესთა საბჭოსა და საზოგადოების წევრთა სახელით:

ფრიდონ ინჯია, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, მინდია სალუქვაძე, თამაზ ჯალაღონია, ოთარ გოგიტიძე, შალვა წიკლაური, გურამ შენგელია, თემურ ბერიშვილი, ილია დოლიძე, ზვიად სეხნიაშვილი, რეზო სულავა, თემურ თავაძე, ოთარ ხარჩილავა, ნიკოლოზ ასათიანი, იაგო შიოლაშვილი.

ნოდარ გომურაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უფროსი მეგობრისა და სათაყვანებელი პიროვნების

მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს, ქალბატონ კირა მიქელაძეს, მის ოჯახს და ახლობლებს.

ვერის ბაღის სამეგობრო მწუხარებით იუწყება უდიდესი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის

მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

ლალი მიქელაძე, მაია, დევი ხეჩინაშვილები, რეზო შანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და მის ახლობლებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მევლუდ ჯაჭვლიანის ძმის

ლეო ჯაჭვლიანის

გარდაცვალების გამო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება უსამძიმრებს და თანადგომას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ყოფილი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე, უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

იური მეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.

◎ კრიმინალი

ამოღებულია უკანონო იარაღი

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „იერიხოს“ სისტემის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ხე-ტყე ისევ იჩეხება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბანში ოლადაურის სატყეო უბანში კანონდამრღვევმა მოჭრა ორი ძირი წიწვოვანი სახეობის სამასალე ხე.

შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

◎ რას არ გაიგებ

ჩანთა მკვდარი კატის ტყავისგან

ახალ ზელანდიაში გასაყიდად გამოიტანეს ქალის ჩანთა, რომელიც კატის ტყავისგანაა დამზადეული. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას The Daily Mail ავრცელებს.

ჩანთის საწყისი ღირებულება 1400 დოლარია. ჩანთის იარლიყზე აღნიშნულია, რომ „ამ ჩანთის დამზადებისთვის არც ერთი ცხოველი არ მოუკლავთ“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩანთა გარდაცვლილი კატის ტყავისგან დაამზადეს.

◎ ანეკდოტები

არამარადიული აზრები

* ერთიანის მნიშვნელობა ხან იზრდება, ხან იკლებს — ყველაფერი მის მარჯვნივ ნულებზეა დამოკიდებული.

* წერა-კითხვის მცოდნე დაბეზღებებს წერს, წერა-კითხვის უცოდინარი კი კარნახობს.

* პატიოსანი ხალხს ნამდვილად უნდა შურდეს იმ ურთიერთობებისა, რომელიც არამზადებში სუფევს.

* ჩვენ ყველანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ვიმყოფებით, ოღონდ მის სხვადასხვა მხარეს.

* თავისუფალი ადამიანის წინაშე მონას მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს — მას თავისუფლებას ვერ წაართმევ.

* დემოკრატიის განვითარებას ხელს ისე არაფერი უშლის, როგორც მისი არარსებობა.

* ვიდრე „ის“ კაცი ცოცხალი იყო, არავის სურდა დაეჯერებინა, რომ იგი ოდესმე მოკვდებოდა. როცა იგი გარდაიცვალა, არავის სურდა დაეჯერებინა, რომ იგი ოდესმე ცხოვრობდა.

* ხშირად ისე ხდება, რომ ჩიხი ახალი გზის დასაწყისი ხდება.

* * *

* იმით თუ ვიმსჯელებთ, რომ ყოველ ცისმარე დღეს იმდენივე სავსე პარკს ვაგდებ სანაგვეში, რამდენსაც ვყიდულობ, გამოდის, რომ მე ძირითადად მხოლოდ ნაგავსა და პარკებს ვყიდულობ.

* * *

— თქვენო ღირსებავ, ასეთი განაჩენი აშკარად არასამართლიანია! როცა წინა ჯერზე მე ჩემს მეზობელს „ღორი“ ვუწოდე, თქვენ 50 ლარით დამაჯარიმეთ, ახლა კი 200 ლარად მაჯარიმებთ!

— სამწუხაროა, მაგრამ, ხომ იცით, რომ მას შემდეგ ღორი ძალიან გაძვირდა!

ჯერ აუხსენით, მერე კი აჩვენეთ

ფონური ხმაური ბავშვებს ახალი სიტყვების დამახსოვრებაში ხელს უშლის, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან.

თურმე ახალ სიტყვებს ბავშვები სიწყნარეში გაცილებით უკეთ იმახსოვრებენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ფონური ხმაური — მომუშავე ტელევიზორის ან რადიოს, უფროსების ლაპარაკი და ა.შ., პატარებს გონებას იმდენად უფანტავს, რომ ახალ სიტყვას მეხსიერებაში საერთოდ ვერ აფიქსირებენ. ამდენად, მშობელი უნდა ცდილობდეს, რომ თითოეული ახალი სიტყვა ბავშვს მაქსიმალურად ჩუმ გარემოში უთხრას.

ამასთან, მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხმაურის მავნე ზემოქმედების შემცირება იმითაა შესაძლებელი, თუკი ბავშვს ჯერ ავუხსნით, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის ახალი სიტყვა, შემდეგ ვაჩვენებთ იმ საგნებს, რომლებსაც ეს სიტყვები აღნიშნავენ.

სილამაზის ზნეობრიობა



ოდესღაც ტანსაცმლის გახდით ცეკვა, რასაც ჩვენს დროში „სტრიპტიზს“ ვეძახით, მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილი იდუმალი რიტუალი იყო.

ძველი ბერძნები სხეულის სიშიშვლეში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავდნენ. ჰეტერები, ქალღმერთ აფროდიტეს ქურუმები, ცეკვამდე ჰიტონების ნაკეცებს ისე აწყობდნენ, რომ, საჭირო დროს, სამოსელი ტანიდან თავისით ჩამოცურებულიყო. დამსწრეთა წინაშე მოხდენილად გაშიშვლების ხელოვნებას კი, გოგონებს სპეციალურ სკოლებში ასწავლიდნენ, რომელთაგან ყველაზე დიდი სასწავლებელი კორინთში იყო.

თავისი ცეკვით, ქურუმ ქალიშვილს მაყურებელი მამაკაცები სექსუალურ ექსტაზამდე უნდა მიეყვანა და ამ გზით მიღებულ სპერმას სიყვარულის ქალღმერთს სწირავდნენ. ამასთან, მაყურებლებს არა მარტო მოცეკვავის ხელით შეხების, არამედ ოდნავ შეტოკების უფლებაც კი არ ჰქონდათ!

ძველ ბერძნებს არც ის ადარდებდათ, თუ რამდენად ზნეობრივად იქცეოდნენ ცეკვის დროს გაშიშვლებული პეტერები: მათთვის ზნეობრივი იყო ყველაფერი ის, რაც ლამაზია.

ფრთხილად: სურსათი მარილიანია!

მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია: იმ ქვეყნების მოსახლეობა, სადაც ცოტა მარილს მოიხმარენ, ფაქტობრივად, არტერიულ წნევას არ უჩივის.

საქმე ისაა, რომ როცა კაცი მარილს ჭარბად აღარ მოიხმარს, მას წნევაც უკლებს, ამიტომაც მას ინფარქტისა ან ინსულტის რისკი უმცირდება.

ხალხის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება: მაგალითად, ათი წლის წინათ ფინეთში, დიდი ოდენობით მარილის შემცველ პროდუქტებზე გამაფრთხილებელი აღნიშვნები გაჩნდა. შედეგმაც არ დააყოვნა: ინსულტების ოდენობა მოსახლეობაში 60 პროცენტით შემცირდა!

„თვალის“ ხილი

ბანანი თვალებისთვის სასარგებლო ხილია

ის ბუნებრივ პიგმენტებს — კაროტინიდებს — შეიცავს, რომლებიც ნაყოფს ნარინჯისფერ ან ყვითელ ფერს აძლევენ. ორგანიზმში კაროტინიდები A ვიტამინად გარდაიქმნებიან, რომელიც მხედველობაზე კარგად მოქმედებს. ამჟამად მეცნიერები ამ ნივთიერებათა ჭარბი ოდენობით შემცველი ჯიშის გამოყვანაზე მუშაობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს 24 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3191; ევრო - 2.5928;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0067;
100 რუბლი - 3.5702; თურქული ლირა - 0.7788;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4055;
1000 სომხური დრამი - 4.8947.

ამინდი 22 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +24
თბილისი:	ღამე +15,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE